სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 6 სექტემბერი 2000 №171 (1193) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ჟურნალი №7

სარბიელი

ეს მოხდა 20 წლის წინ: თბილისის „დინამომ“ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში სალონიკის „კასტორია“ დაამარცხა და 13 მაისის ღამისკენ ბირველი ნაბიჯი გადადგა. იგონებენ ოთარ გაბელია და რამაზ შენგელია.

ეს მოხდა ითხჯერ, ოღონდ კარგია თუ ცუდი? ორიოდ სიტყვა „ოქროს გოლის“ წესზე.

ეს მოხდება 5 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. სიდნეის ოლიმპიადასა და ქართველ ოლიმპიელებზე.

ეს მოხდება შემოდგომაზე. ჩემპიონთა ლიგის ყველა ჯგუფის კალენდარი და ცხრილები, რომელთაც თქვენ შეაკვსებთ.

რა თქმა უნდა, ბლაკატი
ლუიზ ფიგუ
და ძველებური ფასი — 2 ლარი.

ორშაბათიდან
შეიძინეთ ჟურნალი

სარბიელი

ვირტუალური ტრანსფერი

„მილანმა“ კალაძის შეძენის ფაქტი უარყო

კახა კალაძე (№7) უკრაინაში თამაშს გააგრძელებს

გუშინ ერთხელაც გავრცელდა ინფორმაცია კახა კალაძის იტალიის „მილანში“ გადასვლის თაობაზე. ამჯერად უფრო კონკრეტული.

იტალიური „ტუტოსპორტის“ ცნობით, „მილანის“ ვიცეპრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა: „კახა კალაძესთან კონტრაქტი კი გავაფორმეთ, მაგრამ, რადგან ქართველს ევროკავშირის პასპორტი არა აქვს, ჯერჯერობით მას გუნდში ვერ ჩავრიცხავთ.“

ცნობა კალაძის „მილანში“ გადასვლის თაობაზე გუშინდელ იტალიურ გაზეთ „კორიერე დელა სერაშიც“ დაიბეჭდა და საღამოს სუპერკლუბის ოფიციალურ საინტერნეტო გვერდშიც გაჩნდა.

დასახელდა ფეხბურთელის კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ტრანსფერის სავარაუდო თანხაც — 10 მილიონი დოლარი. თუმცა ეს ინფორმაციაც ადრინდელივით ნაკლებსარწმუნოა.

მიუხედავად არაერთგზის ცდისა, წუხელ კახა კალაძეს ვერანაირად დავუკავშირდით და, ბუნებრივია, გალიანის ნათქვამზე მისი აზრი ჩვენთვის უცნობია.

სამაგიეროდ, ფეხბურთელის ძმამ გვითხრა, ყოველივე ტყუილი და მორიგი ჭორია, ჩემი ძმა კვლავაც კიევის დინამოელია და „მილანთან“ არანაირი კონტრაქტი არ გაუფორმებიაო.

ვცადეთ „მილანის“ ქართველ სელექციონერ რევაზ ჭოხონელიძესთან დაკავშირებაც, არაფერი გამოვიდა. შემდგომ კი მისმა უახლოესმა მეგობარმა გვითხრა, კახა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირს ისევ კიევის „დინამოში“ ითამაშებს, იანვრიდან კი კარიერას ნაღდად „მილანში“ განაგრძობსო.

საბოლოოდ კი ყველაფერი ასე დასრულდა: „მილანმა“ ოფიციალურად უარყო შუადღისას გავრცელებული ინფორმაცია კლუბსა და კახა კალაძეს შორის რაიმე ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

ძოგა ინასარიძე

აი, ჩემი სამშობლო!

US OPEN

REUTERS-ის ფოტოგრამა

ჰიუნგ-ტაიკ ლი

გეუბნებათ რამეს ჰიუნგ-ტაიკ ლის სახელი? ბევრს, რა თქმა უნდა, არაფერს, მაგრამ დღეიდან იცოდეთ: ამ 24 წლის ჩოგბურთელმა კორეა მსოფლიოს საჩოგბურთო რუკას მარტომ დაატყო. ცივსისხლიანმა აზიელმა აშშ-ის ღია პირველობის მერვედფინალში თვით შვიდგზის უიმბლდონის ჩემპიონს, პიტ სამპრასს გაუჩინა თავსატეხი. ქალების მხარეს დები უილიამსები ისევ შეუჩერებლად მიიწევენ ოჯახური ფინალისკენ, თუმცა შეებმებიან თუ არა შარისთავ ჯონ მაკინროის მილიონდოლარიანი ჯეკპოტისთვის, ჯერაც საკითხავია.

იხილეთ მეცხრე გვერდი

ბოისა ვერ გაოლიმპიელდა

ქართველი კალათბურთელი ისევ „სლოვანში“ გაანათხოვრეს

გერმანია

III ტური

შალკე 3:0 კოტბუსი

1:0, 2:0, 3:0 სანდი (6, 8, 50)

კაიზერსლაუტერნი 1:0 შტუტგარტი

1:0 ბასლერი (3)

გაძევება: ჰაბერი (41, შტუტგარტი)

ლევერკუზენი 1:0 უნტერჰაჩინგი

1:0 ბალაკი (23)

ფრაიბურგი 0:0 კიოლნი

ფრაიბურგი: გოლეი, შუმანი (ფ. ბრუნსი 46), მიულერი, დიარა, ვილი, ბაია, ცაიერი (დორნი 85), კულიბალი, ცეტიშვილი, რამდანე (კობიაშვილი 68), იაშვილი

კიოლნი: ბრიოლი, კულმანი, კისონი, კელერი, შერეი, ბულაჩიჩი, კროიცი (ჰაუპტმანი 89), ფოიგტი (ლუტნერი 90), შარინგერი, ტიმი, ბ. ბრეულაძე (დონკოვი 75)

II ბუნდესლიგა. III ტური

ვიონსინგლადბახი 5:0 ულმი

არმინია 2:0 ობერჰაუზენი

დუისბურგი 0:0 მაინცი

**როიტლინგენი 2:0 ზან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეტრაძეს თანაგუნდელმა სიზარმაცე უსაყვედურა

ჟონგლიორობაში პირველია, მაგრამ სირბილს უარობს, დაიჩივლა ინკოგნიტო კიევის დინამოელმა

გიორგი დემეტრაძე (№11) „ცრვენა ზვეზდასთან“ მატჩისას

ახლახან კიევის „დინამოს“ საინტერნეტო სამსახურმა კლუბის ერთ-ერთი ფეხბურთელისთვის ჩამორთმეული ინტერვიუ გაავრცელა. მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, რადგან ძირითადად კლუბში არსებულ ნაკლოვანებებზე ისაუბრა. არც თანაგუნდელთა თუ მწვრთნელთა კრიტიკას მორიდებია. მის რისხვას ვერც „დინამოს“ ქართველი ლეგიონერი გიორგი დემეტრაძე გადაურჩა. უკრაინული სააგენტოს ინფორმაციით, მათი რესპონდენტი უკრაინული კლუბის ძირითადში იშვიათად თუ ხვდება და მისი განაწყენების მიზეზიც ეს თუ იქნებაო.

კითხვაზე, კიევის „დინამოს“ თავდასხმაზე და კონკრეტულად შაკიხ-დემეტრაძის დუეტზე რას ფიქრობთო, ფეხბურთელმა უპასუხა, ეს დუეტი შევჩენკო-რებროვის წყვილთან ახლოსაც ვერ მივაო, მერე კი ჩვენებური კონკრეტულადაც დაახასიათა: „ყველა ქართველი ზარმაცია. ბურთით ჟონგლიორობაში და ფინტებში დემეტრაძე პირველია, აი, როგორც კი ლობანოვსკი სირბილს დაავალებს, მაშინვე ცხვირს იბზუებს, არ მინდა, არ მიყვარსო, გაიძახის, სულ წუწუნებს. „ცრვენა ზვეზდასთან“ მატჩი ხომ ნახეთ? 15 წუთით შეუშვეს მინდორზე, მას უნდა ერბინა, მცველები შეეწუხებინა, დემეტრაძე კი დაძუნძულებდა, აქეთ-იქით დადიოდა. ეტყობა, ძირითადში რომ არ ათამაშეს, იმაზე განაწყენდა“ — გული მოიოხა თავად ძირითადს დანატრებულმა კიეველმა, რომელმაც იგულისხმა თუ არა „ყველა ქართველში“ კიეველთა ლიდერი კახი კალაძე, აღარ დაუკონკრეტებია.

ლუკა თალაქვაძე

ნაკრები დაამუნჯეს

7 ოქტომბრამდე ფეხბურთელებს ლაპარაკი აუკრძალეს

ჟურნალისტებთან საქართველოს ნაკრების წევრებს ნაკრების თაობაზე ლაპარაკი აეკრძალათ.

1 სექტემბერს, ფრაიბურგში, „ფრაიბურგისა“ და ეროვნული გუნდის ამხანაგური მატჩის დაწყებამდე მწვრთნელებმა ფეხბურთელებს კატეგორიულად განუცხადეს, 7 ოქტომბრამდე, ლიტვასთან შესარჩევ მატჩამდე ჟურნალისტებთან ნაკრებზე კრინტი არ დაძრან. ბიჭებიც დათანხმდნენ და ჯერჯერობით სიტყვასაც ასრულებენ.

ახლა ამის მიზეზს არ იკითხავთ? თურმე ჩვენთან საუბარი ნაკრების წევრებს თამაშებისთვის მოსამზადებლად ხელს უშლის. „ფეხბურთელებს ბევრ ლაპარაკს უჯობთ, თავიანთი საქმე აკეთონ“ — გვითხრა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა და ისიც დაამატა, ეს ჩემი იდეა იყო, რაც რევაზ ძოძუაშვილსაც შევუთანხმე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაცო.

გაუგებარი კი ის არის, საინტერესოც, ჟურნალისტებთან ურთიერთობით ნაკრების წევრებს რა წაუგიათ. თამაში ვერ მოუგიათ და... მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლდაო, ამაზეა ნათქვამი.

დავით ყიფიანისთვის ასეთი რამ უცხო სულაც არ გახლავთ. მას ადრეც, „დინამოში“, საქართველოს ნაკრებში, ახლაც, ქუთაისის „ტორპედოში“ მუშაობისას დაუშლია ფეხბურთელებისთვის ჩვენთან გასაუბრება, თანაც მათ ურჩობისთვის ფულადი ჯარიმებითაც დამუქრებია. ისე, ეგ რა სახსენებელია და ყიფიანმა გასული სეზონის ბოლოს გორში, „დილა“ — „ტორპედოს“ მატჩამდე თავის შეგირდებისთვის ფოტოს გადაღებაც არ დაანება ფოტორეპორტიორებს — ცუდად გვაქვს დაცდილიო.

ჩვენ კი... ჩვენც და მკითხველ-ქომაგიც ბევრს არაფერს დავკარგავთ, თუ ნაკრების ფეხბურთელები ნაკრების თაობაზე ორიოდ სიტყვის თქმას დამუნჯებას ამჯობინებენ. მათ თამაში მოიგონ და...

გამორიცხული სულაც არაა, ეგ კი არა, მოსალოდნელიცაა, თუ ლიტვაში გაიმარჯვეს, თქვან, რომ არ ვლაპარაკობდით, ამიტომაც მოვიგეთო...

და ერთიც. რუმინეთ-ლიტვისა და უნგრეთ-იტალიის შესარჩევ მატჩებზე არ დასწრება კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა უტრანსპორტობით ახსნეს, თვითმფრინავის რეისები ერთმანეთს არ ემთხვეოდაო. არადა, როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, მწვრთნელებს ამ მატჩებზე დასწრების ყველანაირი პირობა ჰქონიათ.

კოგა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა პირველი ნაწილი 2 ტური

ოთხშ. „ცენტრალური“. 6 სექტემბერი. 19 საათი

მილანი — ხობი

მსაჯები: ა. შილაკაძე, ს. შალამბერიძე, კ. თბილელი; მ. მისურაძე (ყველა თბილისი); სუფთ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

ხუთშ. „ჯიდი ჯომართიძე“. 6 სექტემბერი. 18 საათი

ივერია — ოკეანე

მსაჯები: ლ. რაზმაძე (ბორი), გ. მარლიშვილი (ქარელი), ა. აფციაური; ა. მუსკოვი (ორივე თბილისი); სუფთ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ლანჩხუთი. „ეფრავი შეკარდაძე“. 6 სექტემბერი. 18 საათი

გურია — ზუგდიდი

მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კაკაჩიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); სუფთ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი

ივერია გაბრწყინდება:

12 საათამდე 12 ათას ლარად

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პირველ ლიგაში მონაწილეობისთვის საჭირო 12 ათასი ლარის გადაუხდელობის გამო თბილისის ასკ მოკვეთა.

არმიელები პირველ ლიგაში ვეღარ ითამაშებენ. გუშინ ასე გადაწყვიტა ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის ჯონი ფირცხალაიშვილის წერილიც მიიღო, ფულის გადახდა 15 სექტემბრამდე გვადროვეთო. საგანგებო კომიტეტი პრინციპული გამოდგა — ასკ-ს თამაშის ნება არ დართო.

პირველი ლიგის ჩემპიონატში კი, 3 სექტემბერს ექვსმა რომ დაიწყო და დღეს გაგრძელდება, მეთორმეტე გუნდი ალბათ ხაშურის „ივერია“ იქნება. ქართლელებმა დღესვე 12 საათამდე ან 12 ათასი უნდა გადაიხადონ, ანაც ფედერაციაში ამ ფულის შოვნის საბანკო გარანტია წარადგინონ.

ასკ-ის ადგილის დაკავების სურვილი რეგიონალიგის კიდევ სამ გუნდს ჰქონდა — თბილისის „იბერია“, ფოთის „კოლხეთი 2“ და ბათუმი 2“ ხაშურებელთან ერთად ელოდნენ საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებას და რომ გაიგეს, ადგილი განთავისუფლდაო... ფედერაციამ კი ხაშურის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ისურვა „ივერიას“ პირველლიგობა, თუმცა, როგორც ვთქვით, ეს კიდევ საკითხავია. გუშინვე, საღამოს, ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას ხაშურის გამგებელი დაუკავშირდა, პრობლემები გვაქვს და ჩვენი ფული ეგებ ორ-სამ დღეში მიიღოთო. ჩოლარიამ კატეგორიულად განუცხადა — ხვალ, 12 საათამდე გელოდებითო. თუ ვერც „ივერია“ გადაიხდის 12 ათასს, მაშინ სამტრედიის „ოკეანესა“ და „ივერიას“ დღევანდელი მატჩი გადაიდება და მოგვიანებით „ოკეანეს“ ის გუნდი დაუპირისპირდება, ვინც ფედერაციის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

რეგიონალლიგის ოთხმა-ხუთმა გუნდმა კი 21 ან 22 სექტემბერს დასაწყებ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო 5 ათასი ფედერაციას უკვე გადაურიცხა, ზოგმაც ჯერჯერობით თანხის ნახევარს მოუყარა თავი და დანარჩენის გადახდას უახლოეს მომავალში აპირებენ. 16 სექტემბრის შემდეგ ფედერაცია რეგიონალლიგელებისგან საწევრო თანხას აღარ მიიღებს.

ისიცაა, რომ რამდენიმე გუნდს შარშანდელი დისციპლინარული დარღვევებისთვის საჯარიმო თანხა არ გადაუხდია და ვიდრე ფედერაცია მათგან ამ ფულს არ მიიღებს, არც საწევროს გაიკარებს.

ლუკა თალაქვაძე

ლოკომოტივი უეფამ დასაჯა

ოთხი ყვითელი, ოთხი ათასი

თბილისის „ლოკომოტივი“ უეფამ უდისციპლინობისთვის 4 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.

საქმე ის გახლავთ, რომ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბრატისლავის „სლოვანის“ წინააღმდეგ თბილისელმა ფეხბურთელებმა ოთხი ყვითელი ბარათი დაიმსახურეს. უეფას დებულების თანახმად კი, გუნდი, რომლის ფეხბურთელებსაც მეტოქესთან ორი მატჩის ჯამში სამჯერ ან მეტჯერ გააფრთხილებენ, თითოეული ყვიოელის ფასად ათას ფრანკს გადაიხდის. „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა „სლოვანთან“ ოთხი გაფრთხილება ერთ, ბრატისლავურ მატჩშივე მიიღეს — ალექსანდრე ბურნაძე, სულიკო დავითაშვილი, ლევან მიქაძე და გიორგი შენგელია მსაჯმა არ დაინდო.

ახლა კი „ლოკომოტივმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შუამდგომლობა სთხოვა, უეფამ 4 ათასი იმ 80 ათასი ფრანკიდან დაგვიქვითოს, „სლოვანთან“ თამაშისთვის რომ გვეკუთვნისო. ფედერაციამაც ამის თაობაზე უეფას უკვე აცნობა. „ლოკომოტივმა“ ის 80 ათასი შვეიცარიული ფრანკი, შეგახსენებთ, გაისად, მაისში უნდა მიიღოს.

კოგა ინასარიძე

„სლოვანთან“ გაფრთხილებული გიორგი შენგელია (მარცხნივ)

ბურაგ დურანდელაშვილის ფოტო

საქართველოს უმაღლესი ლიგა — პირველი ნაწილი
12 ჩემპიონატი
3 ტური

შავი ზღვიდან თეთრ ქვეყამდე

უცნაურად დაიწყო მეთორმეტე ჩემპიონატი, ძალიან ღარიბულად და უსიხარულოდ. მძიმე ხარკი გამოდგა 22 ათასი ლარი და ამდენი ფულის გადამხდელ გასაცოდავებულ კლუბებს აბა, რაღა აქვთ გასახარი.

გათამაშების სისტემა ახლებურია და ყველას თუ არა, ნახევარს მაინც გული უსკდება, ეს სეკვესტრია თუ რაღაც ჯანდაბაა, ჩვენდა ჭირად არ იყოს მოგონილიო.

ორ კვირაზე მეტია ჩემპიონატი დაიწყო. ორი ტურიც უმალ გაილია. აგერ, მესამე მოგვდგომია კარზე და ისიც ისე ჩაივლის, ჩვეულებრივ, უფერულად.

პირველ ტურში უცნაურად და მოულოდნელად წააგო „ბათუმმა". მერე წააგო „ვიტ ჯორჯიამაც" და საკუთარ სტადიონზე აქამდე არნახულად დამარცხდა „დინამო".

ჯერჯერობით მხოლოდ ორია ფერზე და ჯანზე. ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის „ლოკომოტივი" უდანაკარგოდ მიდიან. რიონისპირელებმა თავი უფრო დაძაბულ მატჩებში და ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში გამოიჩინეს, რკინიგზელებს აქამდე იძულებით გადაადგილებული „იბერია" და ბოლო წამს გადაშენებას გადარჩენილი „გორდა" შემოემარცხათ.

მთავარი ბრძოლა და მოვლენები წინაა. მესამე ტურიც გარკვეულ ჩარჩოებს მოხაზავს და ვნახოთ, რას მოგვიმზადებს მეთორმეტე ეროვნული.

დღეს ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში ჩატარდება, თუმც დაძაბულობას თბილისსა და მცხეთაშიც ვეღით. ბოლნისში კი ისეთი გუნდი ჩადის, ვისაც ბოლო წლებში მაინცდამაინც დიდი სხარულით არ ეგებებიან და თავგანწირულ ბრძოლას გაუმართავენ-ხოლმე.

ჩვენც ცალ-ცალკე მოვყვეთ თითოეული წყვილის ავ-კარგს. ზოგიერთის არხეინობა გავიხსენოთ, რამდენიმეს ჭირ-ვარამიც გავიზიაროთ, უქონელი ვანუგეშოთ, მქონებელის ხარვეზი ვიპოვოთ და მივანიშნოთ, მთავარია, არ გაჭრუმდეთ, იქნებ საერთო საქმეს ჩვენი მოკრძალებული სიტყვაც წაადგეს.

რიონისპირელები ზღვისპირელთა დასახვედრად ემზადებიან. დავით ყიფიანისა და ჯანი კარნევალის ძორიგი შეხვედრაა. ახლა გადაჭრით ძნელია იმაზე ლაპარაკი დღეს საღამოს სალხინოდ და საკარნავალოდ ვის ექნება საქმე, მაგრამ სასწორი რომ მასპინძელთა მხარესაა გადახრილი, ესეც ფაქტია.

„ტორპედო" ჩემპიონია. ყიფიანს გაცილებით გამოცდილი, შეთამაშებული და ძლიერი გუნდი ჰყავს. „ტორპედომ" ათი დღის წინ „დინამოს" დიდი სირცხვილი აგემა. ქუთაისელებს დიდი მიზნები აქვთ. სოლიდური საფეხბურთო თავყრილობაა ქუთაისში.

„ბათუმს" თაობათა ცვლამ უწია. კარნევალიმ ვეტერანები ერთი მეორის მიყოლებით დაითხოვა, მართალია, მთლად გამოუცდელი და ახალგაზრდა ბიჭების იმედად არ დარჩენილა, მაგრამ მაინც ახალშეკრებილი გუნდი ჰქვია იტალიელის სამწყსოს.

მეთერთმეტე ეროვნულის ამბებს თუ გავიხსენებთ, მაშინ ტორპედოელთა უპირატესობა უდავო იქნება. ყიფიანის გუნდმა მხოლოდ ერთი თამაში, ისიც ბათუმში, დათმო კარნევალის შეგირდებთან, ამხანაგურ-საკონტროლო მატჩებში კი შანსი არ დაუწოვა „ბათუმს".

ქუთაისელებს ყველა სათამაშო რგოლში შესამჩნევი უპირატესობა აქვთ. ყიფიანს თითოეულ პოზიციაზე ორი, ერთნაირი სიძლიერის მოთამაშე ეგულება, კარნევალის არჩევანი კი აშკარად მწირია.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს დღეს „ბათუმი" მთლად უშანსოა და „ტორპედოს" სამ ქულას მიარომევენ. არა, ბატონო, კარნევალის კარგად ახსოვს აქამდე წაგებული მატჩები. ათი დღეც საკმაო დროა და ბატონი ჯანიც მოასწრებდა რამდენიმე ვიდეოფირის გარჩევას. ასე რომ, მობრძანდით დღეს ქუთაისში, ალბათ კარგი ფეხბურთი იქნება.

ზემოთ ბოლნისი და იქ სტუმრად ჩამსვლელი გუნდი ვახსენეთ, რომელსაც ჩვენში ამ ბოლო დროს ახალ „დინამოს" ეძახიან.

„დინამო", საძირკველშერყეული და აქამდე არნახულად დასუსტებული, დიდი ხანია, ეჭიდავება ბედისწერას, „ტორპედოს", სხვებსაც და, რა თქმა უნდა, თავისთავსაც.

თითქმის მთელი საფეხბურთო საქართველო (რა თქმა უნდა, თუ არსებობს ასეთი) ცდილობს, „დინამო" ფეხზე წამოაყენოს. თქვენ წარმოიდგინეთ, ეცოდება ფიფა-უეფას და აქამდე მტრად მოკიდებულ „მრეტებსაც" კი. არავის ემეტება გასაწირად, მაგრამ ჯერჯერობით მისი მობრუნება ვერავინ შეძლო. კი, ფედერაციამ „დინამოს" მაგივრად გადაიხადა საწევრო 22 ათასი (ბევრი ამ განცხადებას ეჭვის თვალით უყურებს). რევაზ არველაძეც ისეთ დროს დათანხმდა გუნდის გაძღოლას, სხვა არავინ ინდომებდა. ფეხბურთელებიც გამოდიან სათამაშოდ, მაგრამ...

ბოლნისში „სიონ" — „დინამოს" დაპირისპირება შუდამ დიდი პრინციპულობით გამოირჩეოდა. რამდენი სეზონია, ქვემოქართლელები დედაქალაქის ყველაზე ტიტულიანი გუნდის დამარცხებას ლამობენ, თავს არ ზოგავენ, ორიოდეჯერ კინაღამ სკანდალამდე მიგვიდა საქმე, მაგრამ ბოლოს მაინც „დინამოს" რჩებოდა სამი ქულა.

უცნაური ტაქტიკა აურჩევია ბოლნისელთა თავკაცს. „სიონი" თავის საჯარიმოსთან გამაგრდება, თავს გააფრთებით იცავს, მთელს თამაშში ერთხელ ან ორჯერ თუ გაიხედავს მეტოქის კარისკენ და...

ქუთაისში არჩევანმა არ გაამართლა, სამაგიეროდ, მცხეთაში ივარგა და მეთორმეტე ჩემპიონატის ბოლნისში მობრძანებას სამი ქულით ეგებებიან იქაური ქომაგები.

როგორ ტაქტიკას აირჩევს „სიონი" და რას შესთავაზებს „დინამო"? თუ ამის ცხადად ხილვა გსურთ, მაშინ ბოლნისამდე არც ისე შორია. ამ საკითხზე დაფიქრება შეიძლება.

ავჭალაშია გამაგრებული სერგო გაბელაია თავისი „მერანით" და უკრაინელით. დღეს „სინათლეს" ვერცხლდაკრული „ვიტ ჯორჯია" დაუპირებს მოთელვას. თამაში იქაც გვარიანი იქნება. გაჭირვებაგამოვლილი, არაერთ უბედურებას გადარჩენილი „მერანი" ცოტათი გაბრაზებულ „ვიტ ჯორჯიას" ან დაეჩაგვრინება ანაც დაჩაგრავს. ვითომ იქნება მშვიდობა „სინათლეზე"? არა გვგონია, რადგან ფრე, წესითა და რიგით, არც სტუმარს აძლევს ხელს და არც მასპინძელს მოეფონება გულზე.

ისე, ავჭალისკენ ტრანსპორტი სულაც არ ჭირს — ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი №11, ტრამვაი და უბრალოდ, ტაქსი სავსე ჯიბიანებისთვის.

სამტრედიიდან მოკვეთილი და ხაშურში თავშეფარებული „იბერია" შინ ბრუნდება და გამარჯვებისთვის უკეთესი სტიმული შეიძლება? სამტრედიელ ხელმძღვანელებს გული მოულბათ თუ უფეხბურთობამ და „ეროსი მანჯგალაძის" სიმყუდროვემ გული მოუკლათ ვერ გეტყვით, მაგრამ გუნდი მწვრთნელ-პრეზიდენტიანად რომ დაიბრუნეს, სრული სიმართლეა.

სხვაგან სამადლოდ წანწალს შინ ყოფნა რომ სჯობს, რაღა საკამათოა და იქნებ ფრუიძის ბიჭებმა ახალი ჩემპიონატის დაწყებითა და პირველი გამარჯვებით ერთად გაახარონ სამტრედია.

გორელებს მაინცდამაინც სახარბიელო დრო არ უდგათ. აქეთ თაობათა ცვლაო, იქეთ გაუთავებელი ტრავმებიო და „დილაც" ძალიან მოკრძალებულია, მაგრამ ისინი სად დაიქუხებენ, არავინ იცის და არ ჩაუმწარდეს „იბერიას" ღირსსახსოვარი დღე.

„ეროსი მანჯგალაძე" კი ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ ვარგისიანად ჩათვალა. იმედი ვიქონიოთ, ხელმოწერილი აქტი მალევე დასახვევი არ გახდება.

„გორდას" ჯერჯერობით აღარაფერი უჭირს. ის კი არა, პირველ ტურში „ბათუმს" შავი დღე აყარა. მართალია, სტუმრად რკინიგზელებთან საკმაოდ შერცხვა, მაგრამ მთავარია, რუსთაველი ფეხბურთი არსებობს და პატრონიც კარგი გასჩენია. აწი, თუ ივარგებენ, დროისა და მონდომების ამბავია. ეს უკანასკნელი რუსთაველებს არასდროს აკლდათ, დრო კი ჯერაც ითმენს „გორდას" სასარგებლოდ და ვნახოთ, რა ბიჭები ჰყავს ალადაშვილს.

დღეს რუსთავში ფოთის „კოლხეთია" სტუმრად, მართალია, ფოთელებმა ბევრი მოთამაშე მოისაკლისეს, მაგრამ მთლად უიმედოდ არ დარჩენილან. „კოლხეთი" ჯერაც მრისხანე მეტოქეა, რომელთანაც სიფრთხილე არავის აწყენს.

დღეს „ლოკომოტივს" მატარებელი აღარ დასჭირდება. თბილისიდან მცხეთაში მონდომებული კაცი სულაც ფეხით ჩავა. რკინიგზელები გათამაშების ცხრილს სათავეში რომ მოქცევიან, თავიანთი პოზიციების გამყარებას შეეცდებიან. თითქოს ეს სულაც არ არის რთული ამოცანა, მაგრამ არა გვგონია, ამ აზრს თსუ დაეთანხმოს. სტუდენტების ქულათა მარაგი ფაქტობრივად არ არსებობს და ასე გაგრძელებაც რომ არ ივარგებს, ნათელია.

უპირატესობა სტუმართა მხარესაა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ „ლოკომოტივმა" უნდა მოიგოს, მაგრამ ბურთი მრგვალია, თსუ-საც ქულები სჭირდება. მოდი, აქ შევჩერდეთ და მატჩის შედეგს დაველოდოთ.

ისე, არავინ დაივიწყოს სეკვესტრი. გახსოვდეთ და ეცადეთ, თავიდან აიცილოთ ქართული ფეხბურთის ეს ახალი უცნაურობა.

ვაშუკა კვანტალიანი

საგზაფხულო „ტორპედო" — „ბათუმი": ტოგონიძე (№1), არჩვაძე (№3) და ჯანაშია — ახლა სამივენი ტორპედოელები არიან

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ლოკომოტივი	2	2	0	0	7:0	7	6	1	1	0	0	6:0	6	3	1	1	0	0	1:0	1	3
2 ტორპედო	2	2	0	0	4:0	4	6	1	1	0	0	1:0	1	3	1	1	0	0	3:0	3	3
3 ვიტ ჯორჯია	2	1	0	1	3:1	2	3	1	0	0	1	0:1	-1	0	1	1	0	0	3:0	3	3
4 კოლხეთი	2	1	0	1	2:1	1	3	1	1	0	0	2:0	2	3	1	0	0	1	0:1	-1	0
5 ბათუმი	2	1	0	1	4:4	0	3	1	1	0	0	3:1	2	3	1	0	0	1	1:3	-2	0
6 დილა	2	1	0	1	2:4	-2	3	2	1	0	1	2:4	-2	3	0	0	0	0	0:0	0	0
7 მერანი	2	1	0	1	2:2	0	3	1	1	0	0	1:0	1	3	1	0	0	1	1:2	-1	0
8 სიონი	2	1	0	1	1:1	0	3	0	0	0	0	0:0	0	0	2	1	0	1	1:1	0	3
9 დინამო	2	1	0	1	1:3	-2	3	1	0	0	1	0:3	-3	0	1	1	0	0	1:0	1	3
10 გორდა	2	1	0	1	3:7	-4	3	1	1	0	0	3:1	2	3	1	0	0	1	0:6	-6	0
11 იბერია	2	0	0	2	0:3	-3	0	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	0:2	-2	0
10 თსუ	2	0	0	2	1:4	-3	0	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	1:3	-2	0

ᲗᲣᲗᲐᲘᲡᲘ. „ტორპედო". 6 სექტემბერი. 13 საათი

ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

მსაჯები: მ. მალალურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრუგაძე (ქიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი); სუფთა ინსპექტორი: ა. მილიჭინო

თბილისი. „სინათლე". 6 სექტემბერი. 13 საათი

ᲛᲔᲠᲐᲜᲘ — ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სუფთა ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 6 სექტემბერი. 13 საათი

ᲡᲘᲝᲜᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (ტულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); სუფთა ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე". 6 სექტემბერი. 13 საათი

ᲘᲑᲔᲠᲘᲐ — ᲓᲘᲚᲐ

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), ჯ. ბუაშვილი (ქიათურა); კ. მესხი (ზუგდიდი); სუფთა ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

რუსთავი. „ფოლადი". 6 სექტემბერი. 13 საათი

ᲒᲝᲠᲓᲐ — ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი); სუფთა ინსპექტორი: კ. ჭრუაშვილი

ფოთი. „არგანი". 6 სექტემბერი. 13 საათი

ᲗᲡᲣ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. ჯაჯანიშვილი (ქუთაისი); სუფთა ინსპექტორი: გ. ძამუაშვილი

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

2 - ᲝᲜᲝᲜᲘᲫᲔ	ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ
ᲙᲘᲢᲐᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ	ᲒᲝᲠᲓᲐ
Დ. ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ	ᲛᲔᲠᲐᲜᲘ
Ა. ᲛᲣᲯᲘᲠᲘ	ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ	ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

საქართველოს პირველი ლიგა 12 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი
2 ტური

ჯერ გაზომე, მერე გაავლე

ზესტაფონი
3 სექტემბერი
18 საათი
მარგველი
800 (ტევადობა 10 000)

მეტალურგი 1:0 შუქურა

10 გვაზავა (40)

მეტალურგი: ნიქაბერიძე, გურეშიძე, ბ. ლურსმანაშვილი, მურაბაშვილი, დ. ბაქრაძე, აბაზაძე, კაციშვილი, ორმოცაძე, ამაშუკელი, გ. გვაზავა (გავაშელიძე 90), ძიძიკაშვილი (ფირცხალაშვილი 68)

სათადარიგონი: თ. ოდიკაძე, მოდებაძე, ქურციკიძე, გოგაძე, ფანცხავა

შუქურა: გოგუა, კორიტკოვი, ზ. კვეკვეკირი, ოქროპირიძე, ქუტალია, ბერიძე (ბაფუნაშვილი 24), ფუტკარაძე, ჩადუნელი, გეგეშიძე, კაკალაძე, კალანდაძე (კვირკველია 66)

სათადარიგონი: გაბუნია, გორგელაძე, ვალიჩავა, ჩელებაძე, ლომთათიძე

გარეშეხვედრა: კვეკვეკირი (42), ჩადუნელი (81)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

სუფთა ინსპექტორი: ბ. ლაცაბიძე

დაჯარიმება: 19-24; **კუთხური:** 6-2; **კარისკენ დარტყმა:** 6-4; **კარში დარტყმა:** 3-4; **თამაშგარე:** 2-4

ბესიკ ამაშუკელი ზესტაფონიდან

პირველი ლიგის ჩემპიონატის მეორე ტურით დაწყების მიზეზი კარგად მოგეხსენებათ — რამდენიმე გუნდს ფედერაციის სალაროში მონაწილეობისთვის სავალდებულო საწევროს შეტანა დაუგვიანდა. თუმც, მთავარია დაიწყო...

ზესტაფონში გათამაშების გახსნა წესისა და რიგის მიხედვით მოეწყო. ქართული საფეხბურთო მარში, დიქტორის მისალმება, სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით ეროვნული დროშის აღმართვა. რაც იყო-იყო.

ოღონდ ესეც იყო... თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე „მარგვეთზე" მისულთ, უწვეულო სურათი დაგვხვდა. მატჩის ინსპექტორი, მსაჯები, სტადიონის მუშაკები, ვინ ცოცხით, ვინ კასრით, ვინ საზომით შეიარაღებულნი მოედნის დასავლეთ მხარის საჯარიმოში ტრიალებდნენ. თ'ურმე, ნუ იტყვით. საჯარიმო ზომების დარღვევით ყოფილა დახაზული (სიგრძე ორი მეტრით მეტი, პენალტის ნიშნულიც კარის ხაზიდან 11 ნაცვლად 12 მეტრით მოშორებული). პრობლემა ოპერატიულად კი მოგვარდა, 15 წუთში ძველი ხაზები მოშალეს და ახალი გაავლეს, მაგრამ ლაფსუსი ლაფსუსად დარჩა.

„მეტალურგი" და „შუქურა" ის გუნდებია, ჩემპიონატში დიდ მიზნებს რომ ისახავენ, ამთავითვე უმაღლეს ლიგაში აღზევებაზე ფიქრობენ. არცაა გასაკვირი. ორივემ იმდენ გამოცდილ ფეხბურთელს მოუყარა თავი, ერთი შეხედვით, ამოცანის შესრულება არც უნდა გაუჭირდეთ, თუმცა, ეს, ალბათ, მომავლის საქმეა. რადგანაც სასტარტო მატჩში ლიგის ფავორიტებმა თამაშით მაინც-

კაპიტნები: „შუქურას" ჯუმბერ ბერიძე და „მეტალურგის" გენადი კაციშვილი (№7)

მსურს დაბეჭდა ზესტაფონიდან

დამაინც ვერ გვასიამოვნეს. როგორც გამოჩნდა, ფიზიკურ მომზადებაშიც მოიკოჭლებენ და შეთამაშებაც აკლიათ.

ასეთ პრინციპულ მატჩებში, ბუნებრივია, გარკვეულ როლს თამაშობს მასპინძლის ფაქტორი. ზესტაფონელებმაც საწყის წუთებიდანვე სცადეს ინიციატივის ხელში ჩაგდება. ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც. მე-5 წუთზე დმიტრი აბაზაძის მიერ საჯარიმოს გარედან დაბალ კუთხეში ძლიერად დარტყმული გია გოგუამ ნახტომში მოიგერია. ამის შემდეგ მთელი ნახევარი საათი თამაში მონოტონურად მიმდინარეობდა, „მეტალურგი" უხეიროდ უტევდა. სტუმრებიც უპრობლემოდ იცავდნენ თავს და დროდადრო წინ წაწეულ კაკალაძეს, ხანაც კალანდაძეს აწვდიდნენ ბურთს, მაგრამ მასპინძელთა დაცვაც ფხიზლობდა და მოიერიშეებს იოლად უმკლავდებოდა.

ზესტაფონელებმა მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეუტიეს მეტოქეს შედარებით მწვავედ და ამ გააქტიურებამ ნაყოფიც გამოიღო. ბესიკ ამაშუკელის „შუქურას" საჯარიმოში მარჯვნიდან ჩაწოდებულს გრიგოლ გვაზავამ ნახტომში ისეთი თავური შეაგება, რომ გოგუამ თავისიანები ვეღარ იხსნა. დაწინაურებულ მასპინძლებს სამ წუთში ანგარიშის გაორების შანსიც მიეცათ, მაგრამ ძიძიკაშვილს ახლოდან თავური გაუცუდდა.

თამაშის სურათი, ფაქტობრივად, არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. 50-ე წუთზე გვაზავა ძალიან ახლოა იყო დუბლთან, მაგრამ ხუთიოდე მეტრიდან დარტყმული გოგუამ აუღო. სულ ეს იყო. სხვა რამ აღსანიშნავი მეორე ტაიმში არ მომხდარა. „შუქურას" უსუსურობამ შეტევაში მასპინძლებს იოლად შეანარჩუნებინა გამარჯვება.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული პრიზები გენადი კაციშვილს და ბადრი ფუტკარაძეს გადაეცათ.

ბესიკ ამაშუკელი ზესტაფონიდან

იაგორ ძიძიკაშვილი ლაშა ოქროპირიძეს (№4) და ვალერიან გეგეშიძეს გაურბის

ბორი
3 სექტემბერი
18 საათი
ძარღვი
400 (ტევადობა 2 000)

თორი 3:4 ცხინვალი

0:1 მარლიშვილი (24) 1:1 თალაკვაძე (63) 2:1 ჯანაშია (65) 2:2, 2:3 არუთინიანი (68,69) 2:4 ბოჭორაძე (76) 3:4 ტარიელაშვილი (86)

თორი: ლაბაძე, ლეკვეიშვილი (მ. ლომიძე 46), ქობულაშვილი, სუფერთელაძე (ზაქარეიშვილი 62), გ. ლომიძე, ტარიელაშვილი, გლუხიბაძე, ვარდიაშვილი (ფირცხალავა 48), ხოსროშვილი, კ. ჯანაშია, თალაკვაძე

სათადარიგონი: სულავა; ზარანდია

ცხინვალი: ქესანაშვილი, შ. ცისდაძე, რ. ხაჭაპურიძე, ტყემალაძე (მურადელი 65), ვანლაშვილი, მოსიაშვილი, არუთინიანი, მარგიევი (ზ. მისურადე 62), მარლიშვილი, ნასუაშვილი, გვირგვიშვილი (ბოჭორაძე 57)

სათადარიგონი: წიქარიძე, ი. ჩაჩიბაია, დ. მისურაძე

გარეშეხვედრა: ხოსროშვილი (44)

მსაჯები: ზ. ჯაბარიძე, მ. ელიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი);

სუფთა ინსპექტორი: ს. ფიფია

თბილისი
3 სექტემბერი
18 საათი
ისანი
300 (ტევადობა 2 000)

თბილისი 1:0 სამგურალი

10 საღარეიშვილი (17)

თბილისი: კუპატაძე, გ. ჩალაძე, დ. სტურუა, ტყებუჩავა, ჯღარკავა (აბრამიშვილი 56), სახურია, ფირცხალავა (გაფრინდაშვილი 65), ქუჩილავა, მესაბიშვილი, საღარეიშვილი, გოგმაჩაძე (ლ. კაბანაძე 80)

სათადარიგონი: მუმლაძე; დ. შენგელია, სიხარულიძე

სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, მ. ჯინჭარაძე, ფხაკაძე, მაჭარაძე (კიკვაძე 46), ქელეძე, ფუტკარაძე (კაკულია 71), ბაბუნაშვილი, დარსაძე, თირქია (ფიქია 23), გოლეთიანი

სათადარიგონი: გიორგაძე, ლეონელია

გარეშეხვედრა: ჯღარკავა (33), ქელეძე (41), სტურუა (53), სახურია (88)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. მიქელაძე, გ. ჩიტაიშვილი (ორივე სამტრედია); ბ. ბერეგოვაძე (ქიათურა);

სუფთა ინსპექტორი: უ. ფურცელაძე

იყო და არც არა იყო

დაიწყო პირველი ლიგა, მაგრამ ვაი, ასეთ დაწყებას. გათამაშების პირველი ტური სულაც არ ჩატარებულა, მეორე ტურის მხოლოდ სამი მატჩის გამართვა მოხერხდა და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ძირითადად უსახური ფეხბურთი იხილა ზესტაფონში, გორსა და თბილისში სტადიონებზე დროის ფუჭად გამცდენმა, ანაც ძალიან მოცლილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა.

თორმეტგუნდიანი პირველი ლიგის შეკოწიწების იდეას იქნებ თავიდან არც არაფერი დაეწუნებოდა, მაგრამ არსებულმა რეალობამ ბევრი ხარვეზი გამოაჩინა და დღევანდელი გადასახედიდან მათი აღმოფხვრა შეუძლებელიც ჩანს.

ალბათ საბოლოოდ საწევრო გადასახადს ფეხბურთის ფედერაციაში ყველა პირველლიგელი წარადგენს. არა და — ურჩებს ახლებით შეცვლიან. ეს არ არის გადაუჭრელი პრობლემა. იქნებ დაძაბულობამაც იმატოს და ორიოდ საინტერესო მატჩიც ვიხილოთ, რომელიც მაყურებელს, მართალია უმნიშვნელოდ, გაახალისებს, თუმც ნაღდი თამაშის წყურვილს ვერაფრით მოუკლავს. ფეხბურთს კი ვერსად ვიპოვით და როდის გვექნება არც ამ კითხვაზე პასუხის გამცემი გვეგულება ვინმე.

შაბათს „თბილისი" უმაღლესი ლიგიდან მასავით ახალგავარდნილ „სამგურალს" „ისანზე" მასპინძლობდა. წესისა და რიგის მიხედვით, მასპინძლები სტუმრებს „მუშტაიდში" უნდა დახვედროდნენ ახალმოწყობილ სტადიონზე, მაგრამ დიდებულ მწვანე საფარიან მოედანს ჯერჯერობით არც ტრიბუნები გააჩნია და არც ნორმალური გასახდელები. ამიტომ სანამ ასკის ყოფნა-არყოფნის ამბავი ფედერაციაში ირკვევა, აგერ მრავალნაცადი „ისანი" და მისი ჯანიო, შეთანხმდნენ.

...ფეხბურთელები მოსათელად მინდორზე გამოჩნდნენ, მსაჯებმა მატჩის ოქმის მოწესრიგება დაასრულეს, ცოტა სასწრაფო დახმარების მანქანამ კი დაიგვიანა, მაგრამ მალე საქართველოს დროშაც აღიმართა და ჰიმნიც შესრულდა.

კვარაცხელიამ თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. ფეხბურთელები ცოტათი ამოძრავდნენ და ასე ზანტადვე ჩაამთავრეს 90 წუთი. ვერაფრით ვნახეთ სასწრაფე, მონდომება, ერთი საზრიანი კომბინაცია მაინც.

ახლა ვერ გატყვით, ვის რა მიზნები ამოძრავებს, მაგრამ ასეთი გარჯით ვერც „თბილისი" და ვერც „სამგურალი" სახეიროს რომ ვერაფერს მოიმკიან, ფაქტია.

სულ ახალგაზრდა ბიჭებითაა დაკომპლექტებული „თბილისი" და მათ იმის მეტი თუ არაფერი შეუძლიათ, რაც გუშინ გვაჩვენეს, მაშინ დაღუპულა ქართული ფეხბურთი და ესაა.

„სამგურალს" ახალგაზრდებთან ერთად გამოცდილი, მრავალნაცადი მოთამაშეებიც ჰყავს, თუმც შაბათს არც ერთნი ვარგოდნენ და არც მეორენი.

თამაშის ერთადერთი გოლი მეჩვიდმეტე წუთზე გავიდა. მასპინძელთა მეკარე კუპატაძის დარტყმული ბურთი მაღალი ტრაექტორიით სტუმართა ნახევარზე დაეშვა. წყალტუბელებმა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა მოინდომეს, თუმც უხეირო რამ გამოუვიდათ. ბურთი საღარეიშვილმა მოიგდო, ბოდოკიამაც კარიდან გამოსვლა ვერ გაბედა და „თბილისი" დაწინაურდა.

„სამგურალმა" იმავე ტემპში მოინდომა მდგომარეობის გამოსწორება. ბურთი ერთხელ ხარიხას გაარტყეს სტუმრებმა, ორჯერაც კარში ვერ დაარტყეს ხელსაყრელი მდგომარეობიდან, მეტოქის კარს სახიფათო თავურიც ააცილეს და შინ უგოლოდ და უქულოდ გაემგზავრნენ.

ვერც გაიტანდნენ სტუმრები, რადგანაც მათ რიგებში ფორვარდი და კარზე დაგეშილი არავინ იყო. ჰო, კიდევ თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ სტუმრები, მაგრამ კვარაცხელიამ საჯარიმოში განრთხმულ კიკვაძეს წამოდგომა და თამაშის გაგრძელება ურჩია.

მეტს ამ თამაშზე ვერც ვერაფერს მოგახსენებთ, მითუმეტეს, რომ ბევრი რამ იყო საეჭვო და დასაფიქრებელი. მალე ესეც „გასკდება" და თეთრი თუ შავი მერე გავარჩიოთ.

ახლა გორში გადავინაცვლოთ და ბორჯომელთა და ცხინვალელთა ჭირისა თუ ლხინისა მოვყვეთ.

„ცხინვალი" საკუთარ „ქართლის" სტადიონზე თამაშობდა, მაგრამ აშკარად სტუმარი იყო. მასპინძელი „თორი" გახლდათ, რომლის სარბიელზე სარემონტო სამუშაოები არ დამთავრებულა.

პირობით სტუმარს და მსგავს მასპინძელს, ორივეს დიდი მიზნები ამოძრავებთ და წაგება არც ერთს სურდა.

ჯერ ცხინვალელებმა ივაჟკაცეს. ფეხბურთში დაბრუნებულმა როინ მარღიშვილმა თავისი 24-ე წუთზე გაიტანა. მერე ბორჯომელებმა გამოიღეს ხელი და მეორე ნახევრის შუა სამ წუთში ორჯერ გაამწარეს „ქართლის" პატრონები.

გოლების მიყოლებით გატანა ასე უნდაო და გორის „დილადან" „ცხინვალში" გადაბარგებულმა ნოე არუთინიანმა ორ წუთში დუბლი შეასრულა და „თორიც" წელში გატეხა. საბოლოოდ სამი ქულა პირობითმა სტუმარმა დაიტოვა და გათამაშების ლიდერადაც გადაიქცა.

ფედერაციას კი ჯერ ვერ გაურკვევია ლიგაში ვინ დატოვოს და ვინ დაიფრინოს. ბევრისთვის არც ისაა ცნობილი, ფული ნაღდად ვინ გადაიხადა და ვინ ითვალთმაქცა.

ბოლოს კი იმას მაინც ვისურვებდით, პირველი ლიგის მესამე ტური მაინც ყოფილიყოს სრულყოფილი.

ზამუკა კვანტალიანი

ბომბარდირი

2 - არუთინიანი	ცხინვალი

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ცხინვალი	1	1	0	0	4:3	1	3	0	0	0	0	0:0	0	0	1	1	0	0	4:3	1	3
2 მეტალურგი	1	1	0	0	1:0	1	3	1	1	0	0	1:0	1	3	0	0	0	0	0:0	0	0
3 თბილისი	1	1	0	0	1:0	1	3	1	1	0	0	1:0	1	3	0	0	0	0	0:0	0	0
4 ივერია	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
5 ზუგდიდი	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
6 ოკეანე	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
7 ხობი	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
8 გურია	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
9 ვილანი	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
10 თორი	1	0	0	1	3:4	-1	0	1	0	0	1	3:4	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0
11 სამგურალი	1	0	0	1	0:1	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:1	-1	0
12 შუქურა	1	0	0	1	0:1	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:1	-1	0

ქალი, თოფი და ორი გაძევება

მითხარი, რას ესვრი მსაჯს და გეტყვი, სად ცხოვრობ

ამისთანა გულშემატკივართა წყალობით უეფა ყოველთვიურად მდიდრდება

კიშინიოვის „კონსტრუქტორული 93“-ის არმონაწილეობით, ცხადია, ევროთასები არ გაღარიბდება. წლეულს რომ გამოდიოდა უეფას თასზე, რა მოიგო რო? არც არაფერი — პირველივე ეტაპზე სოფიის ცსკა-სთან წააგო და გათამაშებას გამოეთიშა.

ჩვენ ხომ სულ ავიკელით იქაურობაო, იტყვის ქართული გუნდების ასევე „თვალსაჩინო“ შედეგით აღშფოთებული გულშემატკივარი. კი ბატონო, ეგრეა, მაგრამ რაც „კონსტრუქტორულ 93“-მა ჩაიდინა, მართლაც ძნელად წარმოსადგენია. და ვინაიდან კაცს ყოველთვის გიხარია, რომ შენზე უარესებიც არსებობენ, მოლდოვური ინციდენტი წვრილად გავარჩიოთ. ამის მერე თურქი მსაჯისთვის ფულის შეთავაზება თუ შოტლანდიური „სელტიკის“ უშნოდ მიღება ტკბილ მოგონებადღა დაგვრჩება.

10 აგვისტოს „კონსტრუქტორულმა“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ბულგარელ არმიელებს უმასპინძლა და 2:3 დამარცხდა. იმ შეხვედრაში:

გააფრთხილეს მასპინძელთა ოთხი მოთამაშე;

გააძევეს მასპინძელთა ორი მოთამაშე;

კიშინიოველი ფეხბურთელი იური მირზა თავს დაესხა მსაჯს და მუშტი მოუქნია;

„კონსტრუქტორულის“ პრეზიდენტის ცოლმა (!) საპატიო სტუმართა ლოჟაში მის გვერდით მჯდომი უეფას დელეგატი გალანძღა;

„კონსტრუქტორულის“ მთავარი მწვრთნელის ორმა თანაშემწემ აგინა მსაჯებს.

და თუ ეს საკმარისი არაა, მატჩის შემდგომ მომხდარ ერთ ამბავსაც გეტყვით: სასტუმროს ფოიეში ერთ-ერთ მსაჯს „კონსტრუქტორულის“ წარმომადგენელი მიეჭრა, პისტოლეტი დააძრო და...

არა, მადლობა ღმერთს, საქმე სროლამდე არ მისულა. უბრალოდ, დააშინეს საბრალო კაცი.

ცხადია, უმსგავსო საქციელი ვერ დაიმალა და რამდენიმე დღის წინ უეფას სადისციპლინო კომიტეტმა სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღო:

კიშინიოვის „კონსტრუქტორულ 93“ ერთი წლით მოიკვეთოს ევროთასებიდან. სანქცია 5 წლის განმავლობაში იმოქმედებს (ანუ თუ გუნდი მომავალ წელს ვერ მოხვდა უეფას ტურნირებზე, სანქცია ერთი წლით გადაიდება და ა.შ.);

ფეხბურთელ იური მირზას ორი წლით აეკრძალოს ნებისმიერ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა;

გენადი პუსკა დისკვალიფიცირებულია სამი თამაშით, იური ოსიპენკო — ორით;

მოთამაშეთა და კლუბის წარმომადგენელთა უმსგავსო საქციელის გამო „კონსტრუქტორული“ დაჯარიმდა 8000 შვეიცარიული ფრანკით;

უამრავი წითელ-ყვითელი ბარათის გამო „კონსტრუქტორული“ დაჯარიმდა 9000 ფრანკით.

სამწუხაროდ, უეფას კომპეტენცია მოლდოვური კლუბის პირველ ლეიდზე არ ვრცელდება, ამიტომ აშარი ქალბატონი დაუსჯელი დარჩა (თუ, ცხადია, მისი მეუღლის ჯიბის 17 ათასი ფრანკით შეთხელებას არ ჩავთვლით).

სადისციპლინო კომიტეტის ნიონის სხდომამ სხვა კლუბთა თუ მოთამაშეთა ცოდვებიც განიხილა. ყველაზე მეტად პორტუგალიური „პორტუ“ და ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ დაზარალდნენ: იმის გამო, რომ პორტუში „ანდერლეხტთან“ მატჩისას ხალხი მსაჯებს ხურდებსა და სანთებელებს უშენდა, „პორტუ“ 50 ათას ფრანკს გადაიხდის. ანალოგიური ქმედებისთვის („ფეიენოორდი“ — გრაცის „შტურმის“ თამაშზე) როტერდამელმა გულშემატკივრებმა თავისი კლუბი 40 ათასით გააღარიბეს, თუ, ცხადია, ჰოლანდია და სიღარიბე ერთად მოსახსენიებელი სიტყვებია. თავად განსაჯეთ: „ფეიენოორდის“ აღშფოთებული გულშემატკივრები მსაჯს ესროდნენ ხურდა ფულს, პლასტიკურ ბოთლებს, სანთებელებსა და... მობილურ ტელეფონებს.

ჯამში 21 ათასი ფრანკით დაჯარიმდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“: 11 ათასისა „მარაკანას“ მაყურებელმა ქუთაისის „ტორპედოსთან“ მატჩისას დაანგრია, დანარჩენი [illegible] „ანდერლეხტთან“ შეხვედრისას. კიდევ 7 ათასი ფრანკი სერბულ კლუბს უეფას გათამაშების დებულების დარღვევისა აქვს გადასახდელი.

რაც შეეხებათ ცალკეულ მოთამაშეებს, მოლდოველთა გარდა კიდევ 10 ფეხბურთელია სხვადასხვა ვადით ევროთასებს ჩამოშორებული. ამათგან ყველაზე ცნობილი იმავე „ფეიენოორდის“ არგენტინელი თავდამსხმელი ხულიო რიკარდო კრუზია, ვინც აწ უკვე უეფას თასზე სამ მატჩს გამოტოვებს.

გიგა ძოგაძიძე

დაჯარიმებულთა სრული სია

პორტუ (პორტუგალია) — 50 000; ფეიენოორდი (ჰოლანდია) — 40 000; ბირკირკარა (მალტა) — 28 000; ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — 28 000; დინამო (ზაგრები, ხორვატია) — 25 000; ანართოსისი (კვიპროსი) — 20 000; შტურმი (ავსტრია) — 20 000; ბოჰემიანსი (ირლანდია) — 19 000; მილანი (იტალია) — 18 000; კონსტრუქტორული (მოლდოვა) — 17 000; უდინეზე (იტალია) — 15 500; ტიროლი (ავსტრია) — 15 000; ჰაიდუკი (ხორვატია) — 15 000; ასტონ ვილა (ინგლისი) — 13 000; აუსტრია (ავსტრია) — 12 000; პარტიზანი (იუგოსლავია) — 12 000; აბერდინი (შოტლანდია) — 10 000; სელტა (ესპანეთი) — 10 000; ჰამბურგი (გერმანია) — 10 000; ბრონდბიუ (დანია) — 8 500; ბეშიქთაში (თურქეთი) — 8 000; ზიმბრუ (მოლდოვა) — 8 000; ინტერი (იტალია) — 8 000; ლევსკი (ბულგარეთი) — 8 000; რეალი (ესპანეთი) — 8 000; ვალენსია (ესპანეთი) — 7 000; ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) — 7 000; ანდერლეხტი (ბელგია) — 6 000; ვალეტა (მალტა) — 6 000; ვაშაში (უნგრეთი) — 6 000; პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — 6 000; ამიცა (პოლონეთი) — 5 000; ვენტსპილსი (ლატვია) — 5 000; კორკ სიტი (ირლანდია) — 5 000; სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — 5 000; ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — 5 000; შამქირი (აზერბაიჯანი) — 5 000; ბანგორ სიტი (უელსი) — 4 000; დრნოვიცე (ჩეხეთი) — 4 000; დუნაფერი (უნგრეთი) — 4 000; ***ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო) — 4 000***; ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) — 4 000; გალათასარაი (თურქეთი) — 3 000; რიეკა (ხორვატია) — 2 000; პოლონია (პოლონეთი) — 2 000; სენტ გალენი (შვეიცარია) — 1 000; შტუტგარტი (გერმანია) — 1 000; ცსკა (სოფია, ბულგარეთი) — 1 000

ოჯახში ყველა ბედნიერია

გერმანელმა ქომაგებმა სარდაფებს მიაკითხეს



ფიოლერის ხათრით გერმანელებს ნაფტალინის სუნი უდით

ოჯახში ყველა კარგ ხასიათზეა: ქალიშვილი იპრანჭება, დისკოთეკაზე მიდის, ვაჟი ეზოშია, ფეხბურთს თამაშობს, დედა ბედნიერია, რადგან ქმარი გახარებულია და მზადაა ცოლ-შვილს ნებისმიერი სურვილი შეუსრულოს. ოჯახის უფროსი კი გახარებული იმიტომაა, რომ ეს-ესაა არბიტრის, ესპანელი ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტოს საფინალო სასტვენის ხმა გაისმა. მატჩი დასრულდა. გერმანიამ 2:0 მოუგო საბერძნეთს და გერმანელ ქომაგებს მომავლის რწმენა გაუჩნდათ. მათი სიამაყე ბუნდესნაკრები, ორიოდე თვის წინ ევროპის ჩემპიონატიდან რომ დაიფრინეს, უკვე ფეხზე დგას, ბრწყინვალე გუნდია. ასეთი კი იმიტომაა, რომ მისი მთავარი მწვრთნელი რუდი ფიოლერია.

დღეს რომ გერმანულ ქალაქებში გაიაროთ, უმალ თეთრი ცხრანომრიანი მაისურების სიუხვე მოგხვდებათ თვალში, მაისურას კი ზურგზე VÖLLER-ი აწერია. გერმანელებმა სარდაფებში საგულდაგულოდ შენახული მაისურები მოძებნეს და ყოველდღიურ სახმარ ტანსაცმელში გაურიეს. ეს. მაისურები კი 80-იანი წლების მეორე ნახევარშია დამზადებული. მაშინ ფიოლერი ნაკრების უცვლელი წევრი გახლდათ, იმ ნაკრების, რომელმაც 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო. ერთი სიტყვით, ბოლო დღეებია, ფიოლერმა გერმანია გააბედნიერა.

მოკლედ ფიოლერის მწვრთნელად დანიშვნის ისტორია გავიხსენოთ. ივნისში ევროპის ჩემპიონატზე განცდილი კრახის შემდეგ ერიხ რიბეკს ნაკრების სათავეში ვინღა გააჩერებდა. ჰოდა, გერმანელები ეროვნულ გუნდს ქართველებივით თვეობით ხომ არ დატოვებდნენ უმეთაუროდ, უმალ ახალი თავკაცის ძებნას შეუდგნენ და „ლევერკუზენის“ დამრიგებელ კრისტოფ დაუმს მიადგნენ, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ, დაუმს ჩვენთან კონტრაქტი 2001 წლის ზაფხულში უსრულდება და მანამდე არსადაც არ გავუშვებთო.

გერმანიის საფეხბურთო კავშირსაც იდეა გაუჩნდა — ნაკრებს მომავალი წლის ზაფხულამდე „ლევერკუზენის“ სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა უხელმძღვანელოს, მერე, როცა დაუმს კლუბთან ხელშეკრულების ვადა გაუვა, ფიოლერი თავის ადგილს დაუბრუნდეს, დაუმს კი ეროვნულ გუნდში წავიყვანთო. მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, ფიოლერი ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, თანაშემწედ კი თებერვალში „დორტმუნდიდან“ დათხოვნილი მასსავით ახალგაზრდა მიხაელ სკიბე მიუყვანეს.

ფიოლერის თავკაცობით გერმანელებმა ორი მატჩი გამართეს. ორივე ძლიერად ჩაატარეს, ესპანელებს 4:1 მოუგეს, ბერძნებს 2:0 და...

„მომავალი წლის ზაფხულს „ლევერკუზენს“ ახალი დამრიგებელი ეყოლება. დაუმი ნაკრებში წავა, ჩვენთან კი ფიოლერი დაბრუნდება, ოღონდ სპორტულ დირექტორად კი არა, მთავარი მწვრთნელი იქნება“ — კლუბის პრეზიდენტის რაინერ კალმუნდის ამ განცხადებამ, ცხადია, დიდი რეზონანსი გამოიწვია. პრეზიდენტმა იქვე დააყოლა, ფიოლერს ასისტენტობას კლუბშიც მიხაელ სკიბე გაუწევსო.

ამასთან დაკავშირებით ფიოლერს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. სკიბემ კი თავისი აზრის გამოთქმა უკვე მოასწრო. იმას არ იკითხავთ, რა განუცხადა ერთ-ერთ ლევერკუზენულ ტელეკომპანიას?

„სასიამოვნო და საპატიოა ჩემთვის ის, რომ კალმუნდს სურს თავის გუნდში მიხილოს, თუმცა მე უკვე მქონდა საუბარი ნაკრების მომავალ თავკაც კრისტოფ დაუმთან. მან გამიმხილა, რომ კმაყოფილი იქნება, თუ ნაკრებში მისი მისვლის შემდეგაც იქ ვიმუშავებ და დავეხმარები, ამის წინააღმდეგი არც მე ვარ. ისე, სიმართლე გითხრათ, ბუნდესლიგაში მუშაობაც მომენატრა, ოღონდ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. სიამოვნებით გავხდებოდი დაუმის მემკვიდრე „ლევერკუზენში“ — გულწრფელი გახლდათ მიხაელ სკიბე. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა იგულისხმა მწვრთნელმა. მან კალმუნდს ფაქტობრივად პირში მიახალა, „ლევერკუზენში“ მეორე მწვრთნელობას ნაკრებში მეორე მწვრთნელობა მირჩევნია, ლევერკუზენში თუ ჩამოვალ, მხოლოდ თავკაცადო.

კალმუნდი და სკიბე თავიანთ აზრსურვილს კი გამოთქვამენ, მაგრამ გერმანულ ფეხბურთში ყველაზე გავლენიან ფიგურას, ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტსა და მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს არაფერს ეკითხებიან?

როგორ იქნებოდა, ასეთი აჟიოტაჟის დროს თავისი სიტყვა „კაიზერ ფრანცსაც“ არ ეთქვა. ფიოლერი ნაკრების მწვრთნელად უნდა დარჩეს, კრისტოფ დაუმი კი გაისიდან მიეხმაროსო, აღნიშნა ბეკენბაუერმა, რომლის სიტყვასაც გერმანიაში ძალიან დიდი ფასი აქვს. მანვე ფიოლერ-სკიბეს ერთობლივ მუშაობას აშკარად დადებითი უწოდა და დააყოლა: „ბოლო ორი წარმატებული შედეგი მთლიანად ფიოლერისა და სკიბეს დამსახურებაა. გუნდი ევროპის ჩემპიონატზეც რომ მათ წაეყვანათ, ბევრად უკეთეს შედეგს მივაღწევდით. ყოველივე ამის შემდეგ რატომ უნდა წავიდნენ ისინი გუნდიდან ერთი წლის შემდეგ?“

ბეკენბაუერის ეს სიტყვები ლევერკუზენში არ მოეწონათ. გასაგებიცაა. თუ ბეკენბაუერმა თავისი ჩანაფიქრი აასრულა, „ლევერკუზენი“ ფიოლერსაც დაკარგავს და დაუმსაც. ვინ მოიგებს ამით? — კითხულობენ ლევერკუზენელები და პასუხიც მზად აქვთ — ცხადია, „კაიზერ ფრანცის“ „ბაიერნი“, რომელიც გზიდან მთავარ კონკურენტს ჩამოიშორებს.

ასეა, გერმანიაში დიდი მითქმა-მოთქმაა. დარჩება თუ არა ფიოლერი ნაკრების სათავეში, ეს მნიშვნელოვანწილად გერმანელთა მომავალ მატჩებზეა დამოკიდებული. არადა, 7 ოქტომბერს გერმანია „უემბლიზე“ თამაშობს....

ფიოლერმა და მისმა გუნდმა თუ ისევე განაგრძო, როგორც დაიწყო, მაშინ უდავოა — ფიოლერს ბუნდესნაკრებიდან არავინ გაუშვებს.

ვანო ოგროგბირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბების შიში ჩემპიონატის დაწყების წინ

გასულ უქმეებზე მეორედივიზიონელმა ესპანელებმა გააჩაღეს ჩემპიონატი.

მომავალ უქმეებზე მათ ელიტარული გუნდებიც წამოეწევიან და ყოველკვირეულად მოგვიწევს გარჩევა, ვინ ვის მოუგო, რატომ და როგორ.

იქამდე კი იმ პრობლემაზე ვთქვათ, პატარებიც და გრანდებიც ერთნაირად რომ შეუწუხებია. ფულზე მოგახსენებთ, უფრო სწორედ კი უფულობაზე. დიდები დიდი ფულის შოვნაზე ფიქრობენ, პატარები — გროშებზე, თუკი რამდენიმე მილიონს გროშები ეთქმის. თუმცა საკითხავი ერთიცაა — ვინ არის გრანდი და ვინ არა. აი, „ატლეტიკო“, ახლახან ბობოლობას რომ იჩემებდა, დღეს თვალებს ახელს და გარშემო სახეიროს ვერაფერს ხედავს.

ფერნანდო რედონდოს წასვლამ „რეალში“ განხეთქილება გამოიწვია

როცა „რეალსაც“ უჭირს

ესპანური ფეხბურთი ერთ-ერთი უმდიდრესია ევროპაში, უფრო მეტი ფული მხოლოდ ინგლისსა და იტალიაში ტრიალებს. მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთი პროცენტი ფეხბურთზე მოდის. და მაინც, ესპანურ ფეხბურთში კრიზისია — აცხადებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. თითქოს პარადოქსია, არა?

ჩემპიონატის დაწყებამდე ფრიად გავლენიანმა აუდიტორულმა ფირმამ კლუბების ბუღალტრული ანგარიშები შეამოწმა და ერთი შეხედვით დამაიმედებელი დასკვნაც გამოიტანა — ბოლო ათწლეულში კლუბების შემოსავალი საშუალოდ ოთხჯერ გაიზარდაო.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

შემოსავლის უმეტეს ნაწილს კლუბები ტელევიზიიდან იღებენ. წინა სეზონში მატჩების ტრანსლაციის უფლების გაყიდვით მათ 240 მილიონი დოლარი ჩაიჯიბეს, რაც მთლიანი შემოსავლის 5 პროცენტია. მაგრამ ეს ციფრები ყველა კლუბზე არ ვრცელდება. ფაქტია, რომ „ხეტაფე“ და „ალბასეტე“ იმდენ ტელემაყურებელს ვერასდროს მიიზიდავენ, რამდენსაც „რეალი“ და „ბარსელონა“, ამიტომ შემოსავლების საერთო ზრდა პატარა კლუბებს ბევრს არაფერს მატებს. რაღა შორს წავიდეთ, რამდენიმე დღის წინ არსებობა შეწყვიტა ერთ-ერთმა უძველესმა ესპანურმა კლუბმა „მერიდამ“. მან ვერაფრით დაიღწია თავი ვალებს, რომელთა ოდენობაც ფიგუების და კრესპოების ფასთან შედარებით სასაცილოდაც კი მოგეჩვენებათ — 3,68 მილიონი დოლარი. აქვე გავიხსენოთ, რომ ორი წლის წინ „მერიდა“ პრიმერადივიზიონში თამაშობდა, ხოლო შარშან მეორე დივიზიონში მეექვსე ადგილზე გავიდა. ჰოდა, თუ ასეთი გუნდისთვის რამდენიმე მილიონი უსაშველოდ დიდი თანხაა, მესამე და მეოთხე დივიზიონების გუნდებზე რაღა ვთქვათ?

ახლა მეორე საკითხიც. აუდიტორების ცნობით,საშუალო და პატარა კლუბებისთვის შემოსავლის დაახლოებით ნახევარი ტრანსფერებს მოაქვს. დღეს კი, როცა ევროკავშირი სატრანსფერო სისტემას გაუქმებას უპირებს, მათ გაკოტრება ემუქრებათ. ამიტომაც არის, რომ ევროპული ფეხბურთის მამები ახალი წესების შემოღების საწინააღმდეგოდ უმთავრეს არგუმენტად პატარა კლუბების ინტერესების დაცვას ასახელებენ. აღრე გავეცანით პრემიერლიგის თავმჯდომარის, რიჩარდ სკადემორის გაანგარიშებასაც — სატრანსფერო ბაზრის უკანონოდ გამოცხადება ინგლისში 92, ხოლო ესპანეთში 40 კლუბს შეიწირავსო. ასე რომ, ზემოთ ნათქვამი ამბავი, ესპანურ კლუბთა შემოსავლები საშუალოდ ოთხჯერ გაიზარდაო, მხოლოდ ზოგიერთებს არ ეხება.

ისე, პატარა კლუბების გაჭირვება რა გასაკვირია, როცა ესპანური ფეხბურთის გრანდი, მადრიდის „რეალი“ სულს ღაფავს. „სამეფო კლუბს“ რომ უზარმაზარი ვალები აქვს, კარგა ხანია, ვიცით. სხვადასხვა ციფრებს ასახელებენ, მაგრამ ყველა წყარო ადასტურებს, რომ ვალი 200 მილიონ დოლარზე მეტია.

ათიოდე დღის წინ ვწერდით, რომ მადრიდული კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს, სხვა გზა რომ ვერ დაუნახავს, კლუბის კუთვნილი სპორტული კომპლექსის გაყიდვა განუზრახავს, რაც ვალების სრულად გასტუმრების საშუალებას მისცემდა. ორშაბათს ფინანსურ პრობლემებზე სასაუბროდ პრეზიდენტმა პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს საკმაოდ მძიმე სურათი დაუხატა:

„რეალი“ ავადმყოფ ადამიანს ჰგავს — დროულად თუ არ ვუმკურნალეთ, დაიღუპება. დავიანგარიშე. ვალების გასასტუმრებლად და წელში გასამართავად 324 მილიონი დოლარი გვჭირდება. აღრეც ვთქვი, რომ ფულის შოვნა ჩვენი სპორტული კომპლექსის გაყიდვით შეგვიძლია, თუმცა გასაყიდად ნამდვილად არ გვემეტება. გამოჩნდა სხვა ვარიანტიც — კლუბი ღია ტიპის სააქციო საზოგადოებად ვაქციოთ. დარწმუნებული ვარ, „რეალის“ მეწილედ გახდომას უამრავი ქომაგი ისურვებს, შემოსული ფული კი ძალიან დაგვეხმარება. ახლა სპეციალურ ანტიკრიზისულ პროგრამაზე ვმუშაობთ, რომელსაც ორ წელიწადში ხორცს შევასხმათ, მერე კი „რეალს“ ახალი ეპოქა დაუდგება“.

ფლორენტინო პერესმა კლუბის ახალდანიშნულ დირექტორ ხორხე ვალდანოზეც ისაუბრა. თქვა, ვალდანო ადრე დიდი ფეხბურთელი იყო, ახლა კი წარმატებული ბიზნესმენია და მისი გამოცდილება კრიზისის დაძლევაში დიდად წაგვადგებაო.

პრესკონფერენციის დასასრულს მავანმა ჟურნალისტმა პრეზიდენტს ჰკითხა, ამდენი ვალის პატრონს ლუიშ ფიგუში საარაკო ფასი რამ გადაგახდევინათო. პერესი, ცოტა არ იყოს, გაცხარდა და კითხვის ავტორს მიუგო: „ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ფიგუს ყიდვა. როცა ამომრჩევლებს მის გადმოყვანას დავპირდი, ყველანი კმაყოფილები იყავით. და საერთოდ, ფიგუში იმდენი გადავიხადე, რამდენიც თავის დროზე ნიკოლა ანელკასა და ელვირ ბალიჩის შეძენა დაჯდა. ნუთუ ფიგუ მათ არ სჯობს?“

რედონდომ „მილანში“ მუშაობა წაიღო

რაკი ესპანური კლუბების ფინანსური პრობლემებით დავიწყეთ და ლუიშ ფიგუს „რეალში“ გადაბარგებას მივადექით, ბარემ „სამეფო კლუბის“ სატრანსფერო პოლიტიკასაც გადავწვდეთ, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი კარგა ხანია, კამათის და განხეთქილების საგნად ქცეულა.

ფლორენტინო პერესმა ფერნანდო რედონდო „მილანს“ მიჰყიდა. გააფრთებული მადრიდელი ქომაგები კლუბის ოფისთან მიიჭრნენ და პროტესტის ნიშნად ფანჯრები ჩალეწეს. უკმაყოფილონი არიან ფეხბურთელებიც. მათ მეგობრის დაკარგვა, ცხადია, არ ეამათ, თუმც თავიანთ პოზიციას უფრო მშვიდობიანი ფორმით გამოხატავენ.

რაული ამბობს: „ვერ გამიგია, რატომ გაყიდეს რედონდო. ნუთუ ვინმე იტყვის, რომ ის უსარგებლო ფეხბურთელი იყო?“ რაულს ბევრი სხვაც უბამს მხარს, თუმცა აქ საინტერესო სხვა რამ გახლავთ. უკმაყოფილების აღრესატი რატომღაც ვისენტე დელ ბოსკეა. არადა, ყველამ იცის, რომ ფლორენტინო პერესი ფეხბურთელთა ბედს ისე განაგებს, მწვრთნელს არც ეკითხება. მოთამაშეები ამას არ უარყოფენ, მაგრამ მწვრთნელს მაინც ედავებიან, პრეზიდენტს გადაწყვეტილებას ალბათ ვერც შეაცვლევინებდი, მაგრამ რედონდოს ერთი-ორი სიტყვა რად არ შეაშველეო. ისე, ხომ არ აჯობებდა, მწვრთნელის ნაცვლად პირდაპირ პრეზიდენტთან მისულიყვნენ და ეს ყველაფერი მისთვის მოეხსენებინათ?

რეალელები სტივ მაკმანამანის ამბავსაც გაუღიზიანებია. მართალია, ინგლისელი ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშეთა განაცხადში შეყვანილია, დელ ბოსკეს ამასწინდელი კომენტარი გვაფიქრებინებს, რომ მაკმანამანს სათადარიგოთა სკამის ხეხვა მოუწევს, იქიდან გასაყიდთა სიამდე კი არცთუ დიდი მანძილია. მიჩელ სალგადოს მწვრთნელისთვის პირდაპირ უთქვამს, მაკმანამანთან თქვენი ასეთი აგდებული დამოკიდებულებით სხვა ფეხბურთელებთანაც გაიფუჭებთ ურთიერთობასო. შეგახსენებთ, რომ ფლორენტინო პერესი თავად სალგადოსაც ამრეზით უყურებს. სალგადოს ერთადერთი „დანაშაული“ კი ისაა, რომ კლუბის ყოფილი პრეზიდენტის, ლორენსო სანსის სიძეა.

ამ დროს ფლორენტინო პერესი სენსაციურ განცხადებას აკეთებს: „რედონდო მხოლოდ იმიტომ გავყიდეთ, რომ თავად მოიწადინა წასვლა“. საინტერესოა, რატომ ამხელს პერესი ასე გვიან? თუ მართლაც ასეა, თავიდანვე ეთქვა, ოფისის ფანჯრების ჩალეწვას ხომ გადარჩებოდა?

„რეალის“ ტრანსფერებიდან უახლესი ალბანო ბიზარის გაშვებაა. მადრიდელებმა არგენტინელი მეკარე „ვალიადოლიდს“ მიჰყიდეს და სანაცვლოდ 2,1 მილიონი დოლარი მიითვალეს. აღსანიშნავია ბიზარის კონტრაქტის ერთი პუნქტი — „რეალს“ არგენტინელის დაბრუნება ორი სეზონის მერე შეუძლია, თუ მასში 4,2 მილიონს გადაიხდის. ისე კი ბიზარის „ვალიადოლიდთან“ ხუთწლიანი შეთანხმება აკავშირებს.

ალბანო ბიზარი ფერნანდო რედონდო არ არის, ამიტომ მის გაშვებას ყოფილ თანაგუნდელთა შორის აჟიოტაჟი არ გამოუწვევია.

გახსოვთ „ატლეტიკო“?

მადრიდელებს ჰყავთ „რეალი“, თუმცა მათ ჰყავთ „ატლეტიკოც“, რომელიც იყო დრო, დიდ თანაქალაქელს ტოლს არ უდებდა. ახლა „ატლეტიკო“ მეორე დივიზიონშია და გასულ უქმეებზე პირველ ტურში „ლევანტეს“ შეხვდა. მატჩის შედეგი კატასტროფულია. ოთხი წლის წინ ესპანეთში დუბლის გამხერხებელი გუნდი „ლევანტესთან“ 1:4 რომ აგებს, თუნდაც სტუმრად, კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს. არადა, „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონში დაბრუნებაზე ფიქრობს.

მადრიდელთა მწვრთნელი ფერნანდო სამბრანო ამბობს: „ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სტარტი გვექნებოდა. ვუყურებ გათამაშების ცხრილს და გაოგნებული ვარ — „ატლეტიკო“ მეორე დივიზიონშიც ბოლო ადგილზეა.“

ნუთუ ასე წყალწაღებულია „ატლეტიკო“? ალბათ, უფრო სხვა რამეშია საქმე და მართალს ამბობს მადრიდელთა ვეტერანი თავდამსხმელი კიკო: „ჯერაც ვერ შევეგუეთ იმ აზრს, რომ ის გუნდი აღარ ვართ, რამდენიმე წლის წინ რომ ვიყავით. რაზომღაც გვეგონა, რომ მეორედივიზიონელებს იოლად გავუსწორდებით და აი, შედეგიც.“

მართლაც წამხდარა „ატლეტიკო“, რაკი ვინმე სალილისის ჭკუის სასწავლებელი გამხდარა. სალილისი „ლევანტეს“ თავდამსხმელია, წინა სეზონში მეორე დივიზიონის ბომბარდირიც გახლდათ და ახლა „ატლეტიკოს“ პირველი გოლიც გაუტანა, მაგრამ რამდენიც არ უნდა გაჰქონდეს, ძველ დროში მადრიდელთა დამოძღვრას ვერ გაბედავდა, ახლა კი არ ერიდება: „განაცუდი გუნდია, უბრალოდ, ვერ შეიგნეს, რომ „ატლეტიკოც“ და „ლევანტეც“ ერთ დივიზიონში თამაშობენ და მათი უბედურებაც ესაა.“

ძველი დრო ვახსენეთ და იმ ძველ დროში მადრიდელთა გიჟმაჟი პრეზიდენტი ხესუს ხილი „ლევანტესთან“ წაგების მერე ქვას ქვაზე არ დატოვებდა. დღეს კი მშვიდად ამბობს: „ერთი მხრივ კარგიცაა, 1:4 რომ წავაგეთ. ჩვენი ფეხბურთელები თვალებს გაახელენ და დაინახავენ, სადაც არიან.“

ეჰ, დრო მართლაც იცვლება.

გიორგი დარჯანია

ხესუს ხილი ხილი: თვალი გაახილეთ, ხალხო!

რობერტო ფაბიან აიალა „მილანს“ დაეხსნა

ჯოჯოხეთიდან სამოთხეში

...ალბათ, მახზე ბედნიერი ახლა არავინაა. ფეხბურთელი იტალიაში ამ ოთხი წლის წინათ ჩავიდა, ეგონა, მსოფლიოს ჯერაც უძლიერეს ლიგაში ჩემს ადგილს ვიპოვიო, მაგრამ არ გაუმართლა — მუდამ სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. არადა, ვარჯიშებზე თავს არ ზოგავდა, მწვრთნელიც აიმედებდა, ნუ დარდობ, რობი, შენ ითამაშებო. ისიც ყოველ შაბათ-კვირას მოუთმენლად ელოდა, თუმცა შეხვედრის შემდეგ უკვე კარგად ნაცნობი სიტყვები ჩაესმოდა ყურში — ჩემს ტაქტიკაში ვერ ჯდები, ანაც სათანადო ფორმაში არ იმყოფებიო. მოკლედ, დაიღალა უხვი და უაზრო დაპირებებით და იტალიაზეც გული აიცრუა. რომ ეგონა, სამოთხეში მოვხვდიო, ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. ამ ოთხი წლის მანძილზე მინდორზე რამდენჯერმე მოუწია გასვლამ, თუმცა „სკუდეტოს“ მოგება მაინც მოასწრო. ბოლოს მისი საქმეები ისე წავიდა, აღარც კი აინტერესებდა, ტიტულიან კლუბში ითამაშებდა თუ უსახელოში. ძირითადად მხოლოდ ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა, რომელსაც ერთ დროს კაპიტნობდა კიდეც, კლუბში კი...

ბედად ესპანეთიდან შეეხმიანნენ, ჩამოდი, შენს კლუბთან ყველაფერი შევათანხმეთ და გელითო. ოცნება ასრულდა.

...არგენტინელი მცველი რობერტო ფაბიან აიალა იტალიურ „მილანს“ დაეხსნა და ესპანურ „ვალენსიაში“ გადაბარგდა. უფრო სწორად, მშობლიურ კლუბს, ბუენოს აირესის „რივერ პლეიტს“ დაუბრუნდა. ასე თავად „ვალენსიამ“ ინება, ვინაიდან ჩემპიონთა ლიგაში სამონაწილეო განაცხადების ვადა ამოიწურა. აიალა ანდალუზიაში 2001 წლის იანვარში ჩავა, მანამდე კი უფლება აქვს, „რივერ პლეიტში“ ითამაშოს. „ვალენსიას“ პრეს-ატაშეს ცნობით, კლუბმა აიალას სანაცვლოდ „მილანს“ 800 მილიონი პესეტი, ანუ 4 მილიონ 310 ათასი დოლარი გადაუხადა.

ესეც ასე. აიალამ ხომ დაისვენა, დაისვენეს ყურებმაც. აბა, როგორი მოსასმენია, „მილანმა“ რობერტო აიალა ტრანსფერზე დააყენა და ვისიც მისი შეძენა სურს, აღრიანო გალიანის დაელაპარაკოსო. ვერ ვიტყვი, რომ რობერტო აიალას მსურველი კლუბების რიგი დაუდგა, თუმცა „ვალენსიას“ გარდა მასზე პრეტენზიას მადრიდის „რეალი“, „რივერ პლეიტი“ და „მილანში“ გადასვლამდე მისი ყოფილი გუნდი „ნაპოლი“ აცხადებდნენ. ერთხანს არგენტინელის შეძენა „ბარსელონას“ ყოფილმა პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმაც ისურვა, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა.

აიალას წასვლით „მილანში“ ერთი ადგილი გამოთავისუფლდა, 14-ნომრიანი მაისურა მსურველს ელის. მილანში ამბობენ, მაისურა ან ესპანელ მიჩელ სალგადოს, ანაც გერმანელ იენს ნოვოტნის დარჩებაო.

გიორგი ვაშაკიძე

აგვისტოს ანბანი

ახალმა „ბარსელონამ“ ხუან გასპარისა (პრეზიდენტი) და ლორენს სერა ფერერის (მწვრთნელი) თავკაცობით პირველი ტიტული მოიპოვა. კატალონიურმა კლუბმა იმარჯვა ამსტერდამის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მის გარდა მასპინძელმა „აიაქსმა“, „არსენალმა“ და „ლაციომ“ ითამაშეს.

ბუნდესლიგაში სატრანსფერო რეკორდი დამყარდა — „რომამ“, ბოლოს და ბოლოს, შეიძინა ბრაზილიელი ემერსონი და „ლევერკუზენს“ სანაცვლოდ 17 მილიონი დოლარი გადაუხადა. ეგებ მავანმა თქვას კიდეც, ასტრონომიულად გაზრდილ სატრანსფერო თანხებთან ეს შეთანხმება რა მოსატანიაო, მაგრამ რაც უნდა იყოს, რეკორდი მაინც რეკორდია.

გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“ ეროვნული გუნდისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი ბუნდესლიგის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად მიიჩნია. გამოკითხვაში გათვალისწინებული იყო მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობა, ტაქტიკური მომზადება, გამძლეობა, პროფესიონალიზმი და სატრანსფერო ღირებულება. ოლივერ კანს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 92,1 პროცენტი აღმოაჩნდა.

დორტმუნდში იქაური „ბორუსიისა“ და როსტოკის „ჰანზას“ შეხვედრით 11 აგვისტოს ახალი ბუნდესლიზონი დაიწყო. გერმანიის ნაკრებისა და „ბორუსიის“ ექს-ლიბერო მათიას ზამერი გუნდს მწვრთნელად მოევლინა და მისი ხელმძღვანელობით შავ-ყვითლებმა შინ კარგა ხნის შესვენების შემდეგ მოიგეს. „ვესტფალშტადიონზე“ მათ წინა სეზონის მეორე ნახევრიდან არ გაუმარჯვიათ.

ევროკავშირსა და ფიფას შორის ახალი სკანდალური დაპირისპირებაა. ევროკავშირი არსებულ სატრანსფერო ბაზარს უკანონოდ მიიჩნევს და მის გაუქმებას მოითხოვს, საბაბად კი ადამიანის უფლებებს იყენებს, რომლის თანახმადაც ნებისმიერ ადამიანს სამუშაოს გამოცვლა თავისუფლად, თავისი ნებით შეუძლია, ფეხბურთელი კი ამ მხრივ უუფლებოა. ცხადია, ფიფა იოლად არაფერს დათმობს. საკითხის საყოველთაო განხილვა გრძელდება.

ვადის ამოწურვამდე ვალებს თუ არ გადაიხდით, პრემიერადივიზიონიდანაც მოგკვეთთ და უეფადანაცო — ასეთი შეტყობინება მივიდა „რაიო ვალეკანოს“ ოფისში, ვინაიდან მადრიდელ კლუბს ტრანსფერების შემდეგ დავალიანება დაუგროვდა. გადახდის ბოლო ვადა 10 სექტემბერია.

ზეიმის საბაბი მოუმრავლდათ უკრაინელებს. ქვეყნის ერთბაშად ორი წარმომადგენელი — კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. დონეცკელებმა საპასუხო შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილი გოლით ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო დამატებით დროში „სლოვენიას“ ერთიც გაუტანეს და ლიგაში პირველად შევიდნენ.

თავისი წინასაარჩევნო დანაპირებიდან „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ერთი უკვე აასრულა — „ბარსელონადან“ ლუიშ ფიგუ გადაიყვანა. ჯერი მეორეზეა — უზარმაზარი ვალების გასტუმრება. პერესმა ადვილი ხერხი გამონახა: „რეალის“ კუთვნილი სპორტკომპლექსის გაყიდვა, რომელიც 336 მილიონი დოლარი ღირს. შედეგად, ვალებიც დაიფარება და რამდენიმე ათეული მილიონიც ახლის ასაშენებლად დარჩება.

ინგლისის ჩემპიონატმა აფრა უშვა: 19 აგვისტოს პრემიერლიგა დაიწყო. პირველი მატჩების შემხედვარე უდავოდ გაიფიქრებდით, რომ ფავორიტი კვლავაც „მანჩესტერ იუნაიტედია“. ჩემპიონებმა პირველ ტურში „ნიუკასლს“ თავბრუდამხვევი თამაში შესთავაზეს და 2:0 იოლად დაამარცხეს.

კიევის „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტი გრიგორი სურკისი უკრაინული ფეხბურთის ხელმძღვანელად აირჩიეს. მისმა წინამორბედმა ვალერი პუსტოვოიტენკომ კანდიდატურა არჩევნებამდე მოხსნა. სურკისს კონკურენტი აღარ ჰყავდა. მან 105 ხმა მიიღო 2-ის წინააღმდეგ.

XX საუკუნის ბოლო „ჩერითი შილდი“ 13 აგვისტოს ლონდონის „ჩელსიმ“ მოიპოვა

ლიდს იუნაიტედი, მილანი, ბარსელონა, ბეშიქთაში — ეს ოთხი გუნდი შეადგენს ჯგუფს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე ურთულესადაა მიჩნეული. ერთი აღსანიშნავი ფაქტიცაა — „ლიდსს“ ისევ სტამბოლში უწევს ჩასვლა, სადაც ამას წინათ ინგლისელ და თურქ ფანთა შორის მომხდარ შეტაკებასა და ჩხუბში ორი ბრიტანელი დაიღუპა.

მიუნხენის „ბაიერნმა“ ბერლინის „ჰერტას“ 35 წუთში ხუთი გოლი გაუტანა და ახალი სეზონის პირველი ჯილდო, გერმანიის ლიგის თასი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მიუნხენელები წინა სამი ფინალის გამარჯვებულებიც არიან.

ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრისტიან ციგე ჩვენი კლუბის ფეხბურთელია — განაცხადა „ლივერპულის“ პრეს-მდივანმა. მაშ ასე, გერმანელი მცველის ორთვიანი ჭიდილი ყოფილ კლუბ „მიდლსბროსთან“ დასრულდა. ფეხბურთელი რივერსაიდიდან მერსისაიდში გადაბარგდა.

ოთხთა ტურნირი „მასტერს 2000“ „ბაიერნის“ საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა. ერთმანეთს გაეჯიბრნენ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორი სეზონის გამარჯვებულები — მადრიდის „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, უეფას თასის მფლობელი „გალათასარაი“ და იუბილარი „ბაიერნი“. „რეალის“ შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ლუიშ ფიგუ.

პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უმბერტო კოელიუ ანტონიო ოლივეირამ შეცვალა. კოელიუმ თანამდებობა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დატოვა, მას მერე, რაც პორტუგალიელები მომავალი ევროპის ჩემპიონ ფრანგებთან დრამატულ ნახევარფინალში დამარცხდნენ.

ჟორჟ ვეა ბრიტანეთში დარჩა. „მილანიდან“ „ჩელსიში“ განათხოვრებული ფეხბურთელი იტალიურმა კლუბმა აღარ დაიბრუნა. ლიბერიელის თავისთან დატოვება არც ჯანლუკა ვიალიმ ისურვა. საბოლოოდ ვეამ კონტრაქტი „მანჩესტერ სიტისთან“ გააფორმა.

რონალდო სულ მცირე 2001 წლის თებერვლამდე ვერ ითამაშებს, ამიტომ გადაწყვიტა, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. მისი გატაცება თეატრი გახლავთ და პროდიუსერობა განიზრახა. „ჩვენ, ფეხბურთელებმა, უბრალო ხალხს მაგალითი უნდა მივცეთ და ხელოვნების სამყაროთი დავაინტერესოთ“ — თქვა რონალდომ.

სერ ალექს ფერგიუსონს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სამუდამო კონტრაქტი შესთავაზა. „იუნაიტედში“ სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯერ არ მეჩქარება. მანამდე ყველაფერი კარგად უნდა აეწონ-დაეწონო და ისე ვთქვა საბოლოო სიტყვა“ — განაცხადა ფერგიუსონმა.

ტედი შერინგემმა დევიდ ბექემს პრემიერლიგის დატოვება და სათამაშოდ კონტინენტზე გადასვლა ურჩია. „ვგონებ, გაცილებით უკეთესი იქნება, თუ დევიდის სტილი ფეხბურთელი იტალიაში ან ესპანეთში ითამაშებს და იქ გამოცდილებას შეიძენს“ — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა.

უმცროსი ბექემი, იგივე დევიდისა და ვიქტორია ადამსის ვაჟი ბრუკლინი, დედამ და ბაბუამ ზოოპარკში წაიყვანეს. მან იქ ჩინებული დრო გაატარა, ძალიან გაუხარდა, როცა ბაბუამ აქლემი გააცნო, მერე ნაყინიც მოითხოვა და თავად რომ დაისვარა, დედამისიც იმავე დღეში ჩაადგო.

ფიფას აღმასკომი მხარს უჭერს 2010 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატების რიგრიგობით ექვსივე კონტინენტზე გამართვას. ამ პროექტის დამტკიცება იმას ნიშნავს, რომ ყოველი კონტინენტი მუნდიალის მასპინძლობას 24 წელიწადში ერთხელ შეძლებს.

ქალაქ მიუნხენის ერთ-ერთ ლუდხანაში გერმანიის პოლიციამ 13 მთვრალი ლიდსელი ფანი დააკავა, რომლებიც ხალხს ნაციისტურად ესალმებოდნენ და „ჰაილ ჰიტლერს“ გაჰყვიროდნენ. ისინი „ლიდს იუნაიტედს“ „მიუნხენ 1860“-თან საქომაგოდ ახლდნენ. ნაციზმის ყოველგვარი გამოვლინება კანონით აკრძალება და ბრიტანელებიც უმალ დააპატიმრეს

ამით ჩემპიონთა ლიგაში განაცხადების შეტანის ბოლო ვადა იწურებოდა, იმ დღეს კი რონალდ დე ბურმა „რეინჯერსთან“ გააფორმა კონტრაქტი. ამრიგად, მას ლიგაში თამაში შეუძლია. ტყუპ დე ბურების გზები გაიყარა: რონალდი ახლა გლაზგოშია, ხოლო ფრანკი — კვლავ „ბარსელონაში“.

ყველაზე შემოსავლიანი კლუბი ჩემპიონთა ლიგის წინა სეზონის მიხედვით მიუნხენის „ბაიერნი“ გამოდგა. გერმანიის ჩემპიონები 45 მილიონ დოლარზე მეტით გამდიდრდნენ. მათ მილიონით ჩამორჩება თასის მფლობელი „რეალი“. ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდთა საერთო შემოსავალი კი შარშან 611 მილიონი დოლარი ყოფილა.

უემოდგომაზე წიგნების მაღაზიებში დიეგო მარადონას სამასგვერდიან ავტობიოგრაფიულ ნაშრომს იხილავთო, ირწმუნება ერთ-ერთი საგამომცემლო ფირმა. წიგნს უბრალოდ „მე, დიეგო“ ეწოდება.

ჩარითი შილდის შეხვედრაში ტრადიციულად ინგლისის ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი ხვდებიან. წლეულს „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. „უემბლიზე“ ლონდონურმა კლუბმა 2:0 გაიმარჯვა. ორივე გოლი ჰოლანდიელებმა გაიტანეს: პირველი ჯიმი ფლოიდ პასელბაინკმა, ხოლო მეორე მარიო მელხიოტმა.

ცნობილი ფეხბურთელები, გაგვიგია, ალკოჰოლურ სასმელებს ზედმეტად ეტანებიანო. ინგლისის ნაკრების ახალმა კაპიტანმა (ალან შირერის წასვლის შემდეგ) ტონი ადამსმა სმას კარგა ხანია, თავი ანება და ახალი კლინიკაც დაარსა, სადაც ამ სენის დაავადებულებს მკურნალობენ.

ძნელად თუ წარმოიდგენდა ადრე კაცი, რომ თურქული ფეხბურთი ასეთ მწვერვალებს დაიპყრობდა. „გალათასარაიმ“ უეფას თასი არ იკმარა და ევროპის სუპერთასიც მოიგო. მონაკოში ჩატარებულ მატჩში, სადაც ჩემპიონთა თასის მფლობელი და ამიერიდან უეფას თასის მფლობელი ხვდებიან ერთმანეთს, „გალათასარაიმ“ მადრიდის „რეალი“ დაამარცხა და საპატიო თასსაც დაეუფლა.

წინა სეზონის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად მადრიდის „რეალის“ ყოფილი და „მილანის“ ამჟამინდელი ნახევარმცველი რედნდო დაასახელეს. 31 წლის არგენტინელმა მართლაც ჩინებულად ითამაშა და „რეალის“ წარმატებებში ლომის წილი დადო. ივნისში „სამეფო კლუბმა“ რედნდო 17 მილიონ დოლარად გაყიდა და როგორც ამბობენ, ძალიან ბევრიც დაკარგა.

ჭირვეულობით ალექს ფერგიუსონთან არაფერი გაგივა — იფიქრა, ალბათ, დევიდ ბექემმა და მწვრთნელთან ურთიერთობის მოგვარება ამჯობინა. გეხსომებათ, წინა სეზონში ნახევარმცველმა ვაჟის ავადმყოფობის გამო ვარჯიში გააცდინა, ამით აღშფოთებულმა ფერგიუსონმა კი მეორე დღეს იგი საწვრთნელი მოედნიდან მიაბრძანა. ამან, თავის მხრივ, ფეხბურთელი გაანაწყენა და გაიძახოდა, ინგლისიდან წავალო.

ხომ არ გაგვედიდებინა „ოლდ ტრეფორდი“? — გაიფიქრა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ მას შემდეგ, რაც პრემიერლიგის პირველ ტურში სტადიონს სარეკორდო რაოდენობის გულშემატკივარი მოაწყდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, არენის ტევადობა 70 ათასამდე გაზარდონ. მერე მანჩესტერში ინგლისის ნაკრების მატჩების ჩატარებაც გახდება შესაძლებელი.

ჯერ საკუთარ შესაძლებლობებს შეაფასებენ და მერე გადაწყვეტენ — ეგებ შოტლანდიელებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე თავიანთი კანდიდატურა წამოაყენონ. „საგანგებო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც საკითხს დაწვრილებით შეისწავლის“ — განაცხადა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ.

ჰოლანდიელმა ფორვარდმა დენის ბერხკამპმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ფეხბურთელმა წასვლის შესახებ ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე განაცხადა. ვარაუდობდნენ, რომ დენისი აზრს შეიცვლიდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ფეხბურთი რუკასთან

თურქული წარმოშობის გერმანელმა ფეხბურთელმა მეკმეთ შოლმა თავის კლუბთან, მიუნხენის „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. ძველი ხელშეკრულების თანახმად, შოლი გერმანულ სუპერკლუბში 2002 წლამდე უნდა დარჩენილიყო, ახალი შეთანხმებით კი იგი „ბაიერნის“ საკუთრება 2004 წლამდე იქნება. შოლს ანაზღაურებაც გაეზარდა, თუმც ხელფასის ოდენობის გამხელისგან ორივე მხარემ თავი შეიკავა. შოლთან ახალი ხელშეკრულების დადება „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ ახალი სეზონის დაწყების შემდეგ გადაწყვიტა. „პირველი მატჩები მეჰმეთმა ისე ჩაატარა, გული მიგრძნობს, ეს მისი წელი იქნება“ — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა. მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებით თავად 29 წლის ნახევარმცველიც კმაყოფილია: „მიხარია, რომ მომდევნო ოთხ სეზონსაც ისეთ გრანდში გავატარებ, როგორიც „ბაიერნია“ — აღნიშნა ფეხბურთელმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

გერმანულმა „ჰამბურგმა“ გელზერკირხენის „შალკესგან“ სათადარიგო მეკარე 24 წლის მათიას შობერი ითხოვა. მისი გადმოყვანა ჰამბურგელთა თავკაცმა ფრანკ პაგელსდორფმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ძირითადი გოლკიპერის, პეხალტების გატანით სახელდაგდებული ჰანს-იორგ ბუტის შემცვლელი კარსტენ ველმანი დაშავდა. მან ხელის თითი მოიტეხა და გუნდს რამდენიმე კვირით გამოაკლდა, „ჰამბურგის“ მესამე მეკარეს, ახალგაზრდა თომას ჰელენბრანდს კი პაგელსდორფი ჯერ ვერ ენდობა. შობერი „შალკეში“ ოლივერ რეკის შემცვლელი გახლდათ, სულ კი ამ გუნდის შემადგენლობაში ბუნდესლიგაში 25-ჯერ ითამაშა. ერთობ ტანმაღალ, 190 სმ სიმაღლის შობერს „ჰამბურგში“ მეკარეთათვის ერთობ უცნაური, რვანომრიანი მაისურა ერგო.

იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდასა“ და ესპანური „ბარსელონის“ ყოფილი ვარსკვლავი რობერტ პროსინეჩკი გუშინ ლიეჟში ჩავიდა, სადაც სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. თუ ყველაფერი კარგად იქნა, 31 წლის ხორვატი „სტანდარდთან“ ორწლიან და 100 მილიონ ფრანკიან (დაახლოებით 2,23 მილიონი დოლარი) კონტრაქტს გააფორმებს. თუ გარიგება შედგა, პროსინეჩკი ამ გუნდის მეოთხე ხორვატი მოთამაშე გახდება. ეს არცაა გასაკვირი — „სტანდარდის“ მწვრთნელი ხომ ამათი თანამემამულე ტომისლავ ივიჩია.

რუმინელი მეკარე დანიელ პროდანი გლაზგოს „რეინჯერსმა“ სამშობლოში გაუშვა, ოღონდ დროებით. შოტლანდიის ჩემპიონმა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გოლკიპერი ბუქარესტის „როკარს“ ათხოვა. „2000 წლის 31 იანვრამდე სჭოთთა საკუთრება ვარ და როცა დაგჭირდები, მაშინ მიხმობენ. ამ დღის მერე კი თავისუფალი ვარ“ — თქვა ორშაბათს სამშობლოში დაბრუნებულმა პროდანმა.

რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დმიტრი ლოსკოვი ორშაბათს გერმანიაში ჩაფრინდა, სადაც საზარდულის ოპერაცია ელის. მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

პორტუგალიური „ბენფიკა“ უახლოეს დღეებში ამსტერდამის „აიაქსს“ 894 ათას დოლარს გადაუხდის და თავდამსხმელ დანი კარვალიოს შეიძენს — იუწყებოდა გუშინ ლისაბონური „ბეთი „ბოლა“. „ბენფიკის“ გერმანელ მწვრთნელ იუპ ჰაინკესს ეს ფეხბურთელი გუნდიდან ივნისში გაშვებული ჟოაო პინტუს შემცვლელად ჰყავს შეგულებული. „ბოლასვე“ ცნობით, ჰაინკესს საერთაშორისო ფეხბურთიდან ცხრა თვით მოკვეთილი აბელ შავიერის ყიდვაც სურს, თუმცა ეგზოტიკური მცველი ჯერჯერობით, 2001 წლის იანვრამდე, ინგლისური „ევერტონის“ საკუთრებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, კაი კიტრი!

ვინ არის ეს კორეე-ლი?



REUTERS ნიუ იორკიდან

ჰიუნგ-ტაიკ ლი

US OPEN

პიტ სამპრასს სულაც არ გაემტყუნება, რომ თავის მერვედფინალურ მეტოქეზე მატჩის დაწყებამდე წარმოდგენა არ ჰქონდა — კლასიფიკაციით 182-ე ჰიუნგ-ტაიკ ლი კი არა, მთელი კორეული ჩოგბურთი წინა კვირამდე ერთ დიდ თეთრ ლაქას წარმოადგენდა.

თავად განსაჯეთ: ლი მარტო პირველრ კორეელი კი არ გახდა, რომელმაც დიდი სლემის ტურნირის მერვედფინალს უწია, არამედ საერთოდ პირველი იყო, ვინც „მეიჯორზე“ თუნდაც ერთი მატჩი მოიგო.

„მე პროვინციელი ბიჭი ვარ, პატარა ქალაქ ჰანგ სუნგიდან. არც კი ვიცი, რამდენი კორტია ქალაქში, ჩვენი რეგიონი უფრო კარტოფილითაა განთქმული. მე რეკომენდაციას გავუწევდი ჩვენს კარტოფილს, მარცვლეულსა და ძროხებს“ — მცირე სარკლამო კამპანია გააჩაღა პრესკონფერენციაზე კორეელმა, რომელსაც ინგლისურის არაფერი გაეგება და ჟურნალისტებს თარჯიმანი მეგობრის დახმარებით ესაუბრებოდა.

ორიოდ კვირის წინ ლი ბრონქსის პატარა ჩელენჯერზე მოსახვედრ შესარჩევ ტურნირში დამარცხდა, მაგრამ ერთი მონაწილის უარის გამო ძირითად ბადეში „იღბლიან წაგებულად“ მოხვდა და ჩემპიონიც გახდა. შედეგად აზიელი აშშ-ის ღია პირველობის კვალიფიკაციაში სათამაშოდაც მიიწვიეს.

24 წლის კორეელმა იქ თავი გაიგიჟა, ზედიზედ სამ ჩოგბურთელს მოუგო, მერე „ოუფენის“ მეორე წრეში მეცამეტედ განთესილი არგენტინელი ფრანკო სკილარიც გაამწარა და სამპრასთან შეხვედრას 11-მატჩიანი წაუგებელი სერით შეხვდა.

არტურ ეშის უზარმაზარ სტადიონზე თანამედროვეობის საუკეთესო ჩოგბურთელთან თამაშის პერსპექტივას ლი არ შეუშინებია. პირველ სეტში მან პისტოლ პიტს არაფერი დაუთმო და რამდენიმე ათას მაყურებელზე არანაკლებ თავად სახელოვანი მეტოქე გააკვირვა.

„კიტრივით წყნარი და აუღელვებელი გამოვიდა, ცენტრალურ კორტზე ჩემს წინააღმდეგ ასპარეზობას არ შეუშინდა და თავი არ დამაჩაგვრინა — აღნიშნა მოგვიანებით ამერიკელმა — ყოველთვის მიჭირს იმ ჩოგბურთელთან თამაში, რომელიც ადრე არ მინახავს, თანაც ის მართლა კარგი მოთამაშე გამოდგა.“

ერთხელ კორეელმა პიტს გვარიანი შიშიც აჭამა: მატჩის მეექვსე გეიმში მეტოქის მოწოდებაზე 40:0 დაწინაურდა. სამპრასმა, როგორც ყოველთვის, მძიმე სიტუაციიდან ეისებით დაიძვრინა თავი, საქმე კი ტაი-ბრეიკამდე მივიდა.

მატჩის ბედიც აქ, უკანასკნელ გათამაშებაში გადაწყდა. 6:4-ზე სამპრასის სასარგებლოდ ლიმ შესანიშნავი მიღება მეტოქეს ფეხებთან მიუბრუნა და ქულის მოსაგებად უკან გაჭირვებით დარტყმული ბურთის მეორე მხარეს გადაგდებაღა სჭირდებოდა. კორეელმა ეს კი მოახერხა, მაგრამ წინ მეტისმეტად სწრაფად გავარდნილმა თავი ვეღარ შეიკავა და სანამ ბურთი კორტზე მეორედ დავარდებოდა, ბადეს შეეხო.

ლიმ საწყალობლად, ღიმილით გახედა მთავარ მსაჯს, მაგრამ ლარს გრაფის მოთაფლვა ვერ მოახერხა — ქულა სამპრასს ჩაეთვალა და პირველი სეტიც ამით დასრულდა.

მეორე ხელის დასაწყისში სამპრასმა მეტოქეს დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც აართვა მოწოდება, წვიმით გამოწვეული ორსაათნახევრიანი შესვენების შემდეგ კი მატჩი ლოგიკურად დასრულდა — 7:6 (7:4), 6:2, 6:4.

„წარმომიდგენია, ერთ დღეს შვილიშვილებს როგორ მოვუყვები სამპრასთან შეხვედრის ამბავს. ცოტას გავაზვიადებ და ვიტყვი, რომ ვიგებდი კიდეც, შემთხვევით ბადეს რომ არ გავკარებოდი — არც ისე ცუდ ხასიათზე გახლდათ ლი — როგორც მითხრეს, კორეაში ჩემს წარმატებებს ყველა ადევნებდა თვალ-ყურს და აეროპორტში გმირივით დახვედრა მელის.“

სამპრასს კი მეოთხედფინალში მძიმე გამოცდა ელის უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონის, რიჩარდ კრაიჩეკის სახით. ჰოლანდიელი, რომელმაც მერვედფინალში დომინიკ ჰრბატი დაჯაბნა 7:6 (13:11), 6:4, 6:1, პირად შეხვედრებში პიტს 6:3-ს უგებს.

„მთავარი ის იქნება, მეორე მოწოდებებზე ბოძებულ შანსებს ვინ უკეთ გამოიყენებს. მას მძიმე არტილერია გააჩნია და ბევრ პრობლემას მიქმნის“ — აღნიშნა ამერიკელმა.

თავის მხრივ, კრაიჩეკსაც არ დაუმალავს, თუ რა სტრატეგიას აირჩევს პიტის წინააღმდეგ: „სულ შეტევაზე ვიქნები. მას არ უნდა მისცე იმის საშუალება, ის აკეთოს, რაც სურს, სული არ უნდა მოათქმევინო, თორემ აღარაფერი გიშველის. აქამდე ეს ტაქტიკა უფრო ხშირად მიმართლებდა-ხოლმე.“

კაცები. მესამე წრე: ჰარლეს ვეგია (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (8, ესპანეთი), 7:6 (7:4), 6:3, 4:6, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — სედრიკ პიოლინი (10, საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:3, 6:2.

მერვედფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (9, ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) 6:3, 6:2, 6:4; პარნო კლიმპანი (საფრანგეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 3:6, 6:2, 6:1, 7:6 (7:5).

მარტინა ჰინგისი დაგიდასტურებთ, რომ სხვისი მატჩის ყურება ზოგჯერ თამაშზე უფრო ძნელია. მსოფლიოს პირველი ჩოგანი კორტზე თავისი ბოიფრენდის, მაგნუს ნორმანის მესამე წრის შეხვედრის შემდეგ უნდა გასულიყო, შვედს კი თამაში 4 საათზე მეტხანს გაუჭიანურდა და მოგებამდე ოთხი მატჩ-პოინტის გადარჩენაც მოუხდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გასახდელში მჯდომი მარტინა ტელევიზორში უცქერდა მატჩს და ძალიან ნარვიულობდა: „ნეტავ, როგორმე გადარჩეს-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ბოლოს ამდენი ლოდინი მომბეზრდა და ეკრანს დავუტატანე, ჰე, მორჩი-მეთქი.“

საბოლოოდ ჰინგისი კორტზე თითქმის შუაღამითღა გავიდა და მხოლოდ ერთი სეტის მოგება მოასწრო სანდრინ ტესტიუსთან. თუმცა 19 წლის შვეიცარიელმა მეორე დილით მატჩის დასრულებას ნახევარი საათზე ნაკლები მოანდომა — 6:2, 6:1.

სამაგიეროდ, მერვედფინალს ვერ გასცდა მარტინას მეწყვილე, როლან გაროსის ჩემპიონი მარი პირსი (4). ფრანგს მხრის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ანკე ჰუბერთან პირველი ხელის 4:6-ით წაგების შემდეგ თამაში ვეღარ გააგრძელა.

ქალები. მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ჟუსტინ ენენი (ბელგია) 6:0, 6:4; სერენა უილიამსი (5, აშშ) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 7:6 (9:7), 6:0; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:7 (4:7), 7:6 (7:5).

ავთანდილ სვანიძე



REUTERS ნიუ იორკიდან

მარტინა ჰინგისი

სხვადასხვა



REUTERS ნიუ იორკიდან

პიტ სამპრასი

პიტ სამპრასის ყველაზე დიდი მტერი მე-14 დიდი სლემის მოპოვებაში რომელიმე მეტოქე კი არა, მცირე თალასემია შეიძლება იყოს — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირა მცხოვრებთ.

ანემიის ერთ-ერთი, შედარებით მსუბუქი სახე პიტს „საჩუქრად“ საბერძნეთში დაბადებული დედის, ჯორჯიისა და ასევე ბერძნული წარმოშობის მამის, სემისგან ˙ერგო. მძიმე თალასემიის შემთხვევაში ბავშვები 10 წლამდეც კი იშვიათად ცოცხლობენ, მაგრამ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს, საბედნიეროდ, ამგვარი დაავადება არა აქვს.

პირველად სამპრასის ავადმყოფობის შესახებ საზოგადოებას „ტორონტო გლოუბ ენდ მეილის“ ჟურნალისტმა ტომ ტებუტმა ოთხი წლის წინ აუწყა, თუმცა თავად ჩოგბურთელმა ეს მხოლოდ ამჟამად დაადასტურა ჟურნალ „ტენისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„მან ზუსტად გაარტყა, ეს დაავადება მართლაც მაქვს. ზოგჯერ კორტზე ამის გამო საშინლად ვგრძნობ თავს, განსაკუთრებით სიცხეში, და დაქანცული გამომეტყველებაც ამის ბრალია.“

ავადმყოფობის ნათელი დასტური გახლდათ 1996 წლის „ოუფენის“ მეოთხედფინალი ალექს კორეჩას წინააღმდეგ, რომლის დროსაც სამპრასმა კორტზე აღებინა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და ფეხიც ეშლებოდა. ის მატჩი, ისევე როგორც 1997 წლის ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრის უმძიმესი ხუთსეტიანი შეხვედრა დომინიკ ჰრბატისთან, პიტმა მოიგო.

„ამის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი წამალი არსებობს — რკინის შემცველი აბების მიღება. აქამდე იმიტომ არ ვაღიარებდი ავადმყოფობას, არ მინდოდა, მეტოქეებს თავდაჯერება შემატებოდათ“ — განაცხადა სამპრასმა.

მცირე თალასემია არ უარესდება, მაგრამ არც რჩება და სიცოცხლის ხანგრძლივობაზეც არ ახდენს ზეგავლენას.

* * *

ჯონ მაკინროისა და დები უილიამსების სიტყვიერი კამათი, სულ იოლად შეიძლება, სქესთა დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. ამისთვის უკვე შესანიშნავი საფუძველი და საბაბიც არსებობს — მილიონდოლარიანი საპრიზო ფონდი.

გასულ კვირაში ბებერმა მაკმა შავკანიანი ჩოგბურთელების ანკესზე წამოგება სცადა, მაგათ ვეტერანთა ტურის, ან ნებისმიერი ხეირიანი კოლეჯის მოთამაშე ვაჟი მოუგებსო. სერენა უილიამსმა სატყუარა გადაყლაპა და მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანთან გაჯიბრებზე მზადყოფნის სურვილი გამოთქვა.

და აი, საქმეში პირველი დაინტერესებული სპონსორი, მილიარდერი დონალდ ტრამპიც ჩაერია. ტრამპმა, რომელმაც თავისი ქონება უძრავი საკუთრების ბიზნესით მოიხვეჭა, მზარეებს მილიონი დოლარი შესთავაზა, თუ ისინი ერომანეთს ატლანტიკ სიტიში, მის კუთვნილ კაზინო „ტაჯ მაჰალში“ შეხვდებიან. წაგებული აქედან ცენტსაც ვერ მიიღებს.

„მე ჩემს ძვირფას მეგობარ ჯონს წერილი მივწერე ამ წინადადებით. მისგან ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი და მეტად საინტერესო მატჩი იქნება“ — განუცხადა ტრამპმა გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმს“.

თუმცა გაზეთი იქვე რიჩარდ უილიამსის, დების მამისა და მწვრთნელის სიტყვებსაც ბეჭდავს, ჩემი ქალიშვილები არ არიან დაინტერესებული ასეთი შეხვედრითო.

მაკინროიმ კვირა ღამით მორიგ პროვოკაციას მიმართა: „მე ვიცოდი, რომ რიჩარდი ჭკვიანი კაცია და ეს მხოლოდ ადასტურებს ამ ფაქტს. მან იცის, რომ უმჯობესია, თავისი გოგოები ჯონი მაკს აარიდოს. სხვათა შორის, ტრამპის წინადადება კარგი დასაწყისი იყო.“

სერენასგან განსხვავებით, ვინუსიც უკან იხევს: „ამჟამად მე მხოლოდ აშშ-ის ღია პირველობის მოგებაზე და ქალებთან პაექრობაზე ვფიქრობ, მე მხოლოდ „ოუფენზე“ თამაში მაინტერესებს. მომავალში კი ვნახოთ. ისე, ბილი ჯინმა ხომ ასწავლა მაგათ ჭკუა 70-იანებში.“

1973 წელს ქალებში მსოფლიოს მაშინდელი პირველი ჩოგანი ბილი ჯინ კინგი 55 წლის ბობი რიგზს შეხვდა და 90 მილიონი ტელემაყურებლის თვალწინ დაამარცხა. თუმცა რიგზი მაკინროის მსგავსი მიღწევებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებდა და იმ დროისთვის უკვე კორტზე მოძრაობაც უჭირდა.

1998 წლის ავსტრალიის ღია პირველობაზე თავად უილიამსებმა გამოიწვიეს საბრძოლველად ძლიერი სქესის წარმომადგენელები. კლასიფიკაციით 203-ე, სიგარეტის მწველმა გერმანელმა კარსტენ ბრაუშმა სერენას 6:1 მოუგო, ვინუსს კი — 6:2.

ასე რომ, უკეთესის იმედი დებს არც მაკინროის წინააღმდეგ უნდა ჰქონდეთ, რომელიც ქალთა ჩოგბურთს მეტად ალმაცერად უყურებს. მაგალითად, უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა ერთხელ დიაცების მატჩის კომენტატორობა იმიტომ იუარა, არ ვიცი, კრიტიკულ დღეებში ეგენი თავს როგორ გრძნობენო.

აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ტრეისი ოსტინიც გამარჯვებას მაკინროის უწინასწარმეტყველებს: „მე პირველი ვიყავი კლასიფიკაციაში, ჩემი ძმა, ჯონი — 50-ე, მაგრამ უბრალოდ მანადგურებდა. კაცები გაცილებით სწრაფები არიან და ბურთსაც უფრო ძლიერად ურტყამენ. ასე რომ, უილიამსები, იმედია, არ მიწყენენ, მაგრამ ფულს მაკინროიზე დავდებდი.“

ბოისა: ისევ სლოვანელი...

ფრანციზ პავშერი, „რადიო სლოვენია“
ლიუბლიანიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ლიუბლიანის „ოლიმპიას“ მთავარმა მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა პრესკონფერენცია მოაწყო და მომავალი სეზონისთვის თავისი გუნდის თოთხმეტკაციანი შემადგენლობა წარმოგვიდგინა. ამ სიაში შეყვანილი იყო საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა. საგადინს საგანგებოდ დავეკითხე: რა შანსი აქვს ბოისას, გუნდის ძირითად შემადგენლობაში რომ მოხვდეს? პასუხად ეს მივიღე: „გუნდში ექვსი უცხოელია, მათ შორის ბოისაც. მას, ალბათ, ძალიან გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება. ვფიქრობ, ბოისას ერთი წლით კიდევ გავანათხოვრებთ. ვლადიმერი „ოლიმპიას“ საკუთრებად რჩება და მისი დაბრუნება ნებისმიერ მომენტში შეგვეძლება. იგი ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეა და, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში „ოლიმპიას“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს“.

სლოვენიურ კალათბურთში დიდი დაპირისპირებაა. ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ დაადგინა, რომ ერთ გუნდში სამი უცხოელის თამაში შეიძლება. სლოვენიის პირველი დივიზიონის კლუბები არ დაეთანხმნენ ამ გადაწყვეტილებას და ოთხამდე მოითხოვეს უცხოელთა ლიმიტის გაზრდა. ზოგიერთი კლუბი ბოიკოტითაც იმუქრება. ფედერაციას გადაწყვეტილება ოფიციალურად ჯერ არ შეუცვლია, მაგრამ დღე-დღეზე ამას აუცილებლად გააკეთებს. მიუხედავად ამისა, ბოისას „ოლიმპიას“ ძირითადში მოხვედრის დიდი შანსი მაინც არ ჰქონდა, რადგანის გარდა გუნდში კიდევ ხუთი უცხოელია: ლიტველი ჟუკაუსკასი, ხორვატი კოვაჩიჩი, იუგოსლავიელი არსიჩი, ამერიკელი ჯორდანი და ჩეხი ველში. ყველა მათგანი ბოისაზე უფროსი და გამოცდილია, ამდენად საგადინი მათ უფრო ენდობა.

UNION OLIMPIJA

ვლადიმერ ბოისა ზმაგო საგადინის (ქვემოთ) „ოლიმპიამ“ ტომო მაჰორიჩის „სლოვანში“ გაანათხოვრა

ამასთან ერთად, ბოისას ადგილზე, ფრთაზე, „ოლიმპიას“ ექვსი კალათბურთელი ჰყავს — გოლემაცი, პარავინა (ორივე ხორვატია, მაგრამ სლოვენიის პასპორტებიც აქვთ), ჟუკაუსკასი, არსიჩი, ზაგორაცი და მოდრიჩი. ვლადიმერს მათი კონკურენციის დაძლევაც გაუჭირდება.

შექმნილ სიტუაციას ალღო პირველმა აუღეს ლიუბლიანის „სლოვანის“ დირექტორმა იანეზ რაიგლმა და მთავარმა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა. ბოისა შარშან მათ გუნდში იყო განათხოვრებული, ასე რომ, მათ კარგად უწყიან ქართველის ავან-ჩავანი. „სლოვანის“ ხელმძღვანელობა მყისვე შეეხმიანა „ოლიმპიას“ უფროსობას და ბოისას ერთწლიანი დათმობა შესთავაზა. ოლიმპიელები დიდად ენდობიან მაჰორიჩს და რაიგლს (პირველი წლების მანძილზე საგადინის თანაშემწე იყო „ოლიმპიაში“, ხოლო მეორე — სლოვენიის უპირველესი გუნდის მენეჯერად მუშაობდა), მათ იციან, რომ „სლოვანში“ ბოისა საიმედო ხელში იქნება და წინადადებას დათანხმდნენ. ამრიგად, ვლადიმერი ერთი სეზონი კვლავ „სლოვანში“ იქნება, თავის თანამემამულეებთან, ნიკოლოზ ცქიტიშვილთანდა დავით უგრეხელიძესთან ერთად. სეზონთაშორის პერიოდში ლიუბლიანის მეორე გუნდმა კიდევ ერთი უცხოელი, ხორვატი უკანახაზელი აიყვანა, მაგრამ ეს პრობლემა აღარ იქნება — როგორც მოგახსენეთ, სლოვენიაში უცხოელთა ლიმიტი ოთხამდე გაიზარდა.

ბოისას თავის გუნდში გადაყვანა სურდა ქალაქ შკოფია ლოკას „ლოკა კავას“ მწვრთნელ ზორან მარტიჩს. იგი ძალიან ძლიერი სპეციალისტია, ერთი თვის წინ სლოვენიის ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ ვლადიმერ სტეფანია „ოლიმპიაში“ სწორედ მარტიჩმა მიიყვანა. „ოლიმპიას“ ხელმძღვანელობა მარტიჩსაც ენდობა (კარგა ხანი „ოლიმპიას“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი იყო), მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე მაჰორიჩს. ჩემი აზრით, ბოისას „სლოვანში“ განათხოვრება ძირითადად ამ ფაქტორმა გადაწყვიტა.

ბოისამ „ოლიმპიას“ რიგებში ბოლო საკონტროლო მატჩი კვირას ითამაშა ქალაქ მურსა სობოტაში, ავსტრალიის მესამე პრიზიორის „თაუნვილის“ წინააღმდეგ. ვლადიმერმა 9 ქულა გააკეთა, ხოლო „ოლიმპიამ“ 98:78 მოიგო. მომდევნო შეხვედრაში, ისრაელის ქალაქ რაანანას „მაკაბის“ წინააღმდეგ საგადინმა ბოისა აღარ ათამაშა.

...და საგადინზე ნაწყენი

ამ ამბის შეტყობისთანავე მურსა სობოტაში დავუკავშირდით ვლადიმერ ბოისას და კომენტარი ვთხოვეთ.

— მართალი გითხრათ, ძალიან გულგატეხილი ვარ. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, „ოლიმპიას“ მწვრთნელი ყველა საკონტროლო მატჩში მათამაშებდა და, როგორც მეუბნებოდა, ჩემით კმაყოფილი იყო. მეგონა, „ოლიმპიას“ ძირითად შემადგენლობაში წლეულსვე მოვხვდებოდი, მაგრამ ახლა, სულ მცირე, ერთი სეზონით მოცდა მომიწევს.

— „ოლიმპიაში“ ბევრი უცხოელი ხართ, თანაც, თქვენს ამპლუაში დიდი კონკურენციაა...

— ჩემი კვლავ განათხოვრების ძირითადი მიზეზი უცხოელობაა. სლოვენიელი რომ იყო, შემადგენლობაში უპრობლემოდ მოხვდებოდიო — არაერთხელ უთქვამთ მწვრთნელსაც და კლუბის დირექტორსაც. დანარჩენი უცხოელები ჩემზე გამოცდილები არიან, ამიტომ უპირატესობას მათ მიანიჭებენ. თუმცა, უცხოელების შეკვეცა მარტო ჩემით არ დასრულდება — მინიმუმ კიდევ ერთ მოთამაშეს მოუწევს „ოლიმპიადან“ ან წასვლა, ან განათხოვრება.

რაც შეეხება კონკურენციას, მისი არასდროს შემშინებია. წინა სეზონში, ოფიციალურ თამაშებში და ახლაც, ვარჯიშებზე, არაერთხელ დამიჩაგრავს გოლემაციც და პარავინაც.

— როდის გადაწყდა თქვენი „სლოვანში“ განათხოვრება?

— სამშაბათს დილით დამირეკა „სლოვანის“ დირექტორმა იანეზ რაიგლმა და მითხრა, ერთი წლით ისევ ჩვენთან იქნებიო. საგადინს თურმე მისთვის უთხოვია, ბოისას ჩვენი გადაწყვეტილება შენ ამცნეო. გაკვირვებული და ნაწყენი ვარ საგადინის საქციელით: რა მოხდებოდა, თავად რომ ეთქვა ჩემთვის ეს ამბავი?! ასეა თუ ისე, ახლა „სლოვანის“ წევრი ვარ და ორიოდ საათში ლიუბლიანაში მივდივარ — საღამოს ვარჯიშს უნდა დავესწრო.

— „სლოვანის“ ხუთეულში ხომ ნამდვილად გაქვთ ადგილი გარანტირებული?

— დაიხ. გუნდში პატარ-პატარა ცვლილებები კი მოხდა, მაგრამ ისინი ჩემს ამპლუას არ შეხებია. მაინც მომიწევს „სლოვანთან“ ხელახალი შეჩვევა — სამი თვე ხომ „ოლიმპიაში“ ვვარჯიშობდი. ხვალ ლიუბლიანელებთანერთად ხორვატიაში მივდივარ, იქაურ „ზაგრებთან“ გვაქვს საკონტროლო მატჩი. სექტემბრის ბოლოს კი კორაჩის თასის გათამაშება იწყება — „სლოვანი“ ავსტრიის „კაპფენბერგს“ ხვდება.

GIO ABALADZE ფოტო

ვლადიმერ ბოისა

— თქვენი აყვანა „ლოკა კავასაც“ სურდა...

— ეს გუნდი სეზონთაშორის პერიოდში საკმაოდ გაძლიერდა. ჰყავს კარგი მწვრთნელი, ზორან მარტიჩი, რომელსაც უნდოდა, რომ მასთან მეთამაშა. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, „სლოვანში“ ვითამაშებდი თუ „ლოკა კავაში“, ჩემი მიზანი „ოლიმპიას“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა იყო, რასაც, სამწუხაროდ, ამ ჯერზე ვერ მივაღწიე.

GURAB ფილიბასაშვილის ფოტო

ირაკლი ჯაფარიძე (ბურთით)

ჯაფარიძე ისევ პორტუგალიისკენ იყურება

გეხსომებათ, ირაკლი ჯაფარიძეს რაოდენ ძვირად დაუსვეს მშობლიური „აზოტის“ ქომაგობა. რატომ და რა მიზეზით, აღრეც არაერთხელ გვითქვამს და ამაზე აღარ შევჩერდებით. ახლა მხოლოდ კალათბურთის ფედერაციის იმდროინდელ ვერდიქტს შეგახსენებთ: რუსთაველი კალათბურთელი ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთეს და განუსაზღვრელი ვადით საქართველოს ჩემპიონატში თამაშიც აუკრძალეს. ჯაფარიძეს ერთადერთი გზაღა დარჩა — უცხოეთში თამაში.

გასულ სეზონში ირაკლიმ პორტუგალიურ „ჟინაზიოში“ გაატარა, ამჟამად სამშობლოშია და მენეჯერ ნიკოლაი ტენევის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს განიხილავს. აუცილებლად სადმე უნდა წავიდეს, სხვანაირად მის კარიერას საფრთხე ელის...

— აქ არ მათამაშებენ და არც უცხოურ კლუბში წარსადგენ რეკომენდაციას მაძლევენ. არაფერია, მაინც გამოვნახავ ჩემს შესაფერის გუნდს, იქნებ დღესვე მომიხდეს გამგზავრება.

— თუ გაქვთ კონკრეტული ვარიანტები?

— რა თქმა უნდა. ხშირად მირეკავს ბულგარელი მენეჯერი ნიკოლაი ტენევი და ახალ-ახალ ვარიანტებს მთავაზობს. სადღეისოდ ყველაზე რეალურად მეჩვენება, რომ კარიერა კვლავაც პორტუგალიაში გავაგრძელო, ოღონდ არა „ჟინაზიოში“. გაცილებით სოლიდური კლუბი, „ავეირო“ ყოფილა ჩემით დაინტერესებული.

— მაშ, ხელს რაღა გიშლით?

— მსურს, ფინანსურ დეტალებში სრულად გავერკვე. ახლა სწორედ ამ საკითხებს მიზუსტებს ტენევი და დღე-დღეზე მაცნობებს. მერე დავფიქრდები, მიღირს თუ არა.

— ჩანს, სხვა წინადადებებიც მიიღეთ. ასარჩევად გაქვთ საქმე?

— ერთი ავსტრიული კლუბიც მეპატიჟება, ესეც ტენევმა მითხრა. სხვებიც მიწვევენ, მაგრამ ჯერჯერობით ამ წინადადებებზე მუშაობს ნიკოლაი.

— მაინც როდის შევიტყობთ თქვენი ახალი კლუბის სახელს?

— ძალიან მალე. არ გამოვრიცხავ, რამდენიმე საათის შემდეგ თვითფრინავშიც ვიჯდე.

— სადღეისოდ თუ ხართ ფორმაში, შეძლებთ ახალი კლუბის მწვრთნელთათვის თავის მოწონებას?

— გასასინჯად არსად წავალ. მიმაჩნია, რომ იმ სასაკის აღარ ვარ, აქეთიქით სიარულში ვკარგო დრო. თუ ვინმეს დავყაბულდები, იმ პირობით, რომ ჩავალ თუ არა, კონტრაქტზე მოვაწერ ხელს. რაც შეეხება ჩემს სათამაშო ფორმას, ამჟამად ზურგის კუნთი მაწუხებს და ვმკურნალობ, ისე კი რუსთავის „აზოტს“ ვახლდი ურეკში და მასთან ერთად ორი კვირა მოვემზადე.

გიორგი ბიკაშვილი

ბუირუმ, ეფენდი!

სტუ თურქს იმატებს

სულ პირველი ამერიკელი კლაიტონი იყო, მერე ლიტველი იაზერსკისი... ისეთი პირი უჩანს, მალე სათვალავიც აგვერევა. ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე უცხოელებზე მოგახსენებთ, რომელთა რიცხვიც შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს.

— თურქს ვიმატებთ — გვითხრა ქვეყნის ბრინჯაოს პრიზიორ სტუ-ს პრეზიდენტმა მამუკა კაციტაძემ, რომელსაც გუშინწინ კალათბურთის ფედერაციაში გამართულ კლუბების წარმომადგენელთა შეკრებაზე შევხვდით. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ სტამბოლელი თურქი, რომელიც საქართველოს მეათე ეროვნულ ჩემპიონატში ტექნიკური უნივერსიტეტის ღირსებას დაიცავს, 30 წლის მრავალნაცადი კალათბურთელია, თავის დროზე უმაღლეს დონეზე უბურთავია, თუმც ამ ორი წლის წინ გამოეთხოვა კალათბურთს.

„მასთან თითქმის ყველაფერი გავარკვიეთ, თანახმაა, ჩვენთან ითამაშოს, მაგრამ დროს ითხოვს. უთამაშებლობამ გარკვეული დაღი დაასვა და სურს, ჯერ ფორმა აღიდგინოს. არც ჩვენ ვაჩქარებთ, ფედერაციაში წარსადგენ განაცხადში, ცხადია, შევიყვანეთ, მაგრამ ალბათ მოგვიანებით შემოგვიერთდება. ისე, ფრთაა ამპლუით, თუმც თავდამსხმელადაც ეხერხება თამაში. ერთი სიტყვით, მისი გამოცდილება ნამდვილად გამოადგება სტუ-ს“ — გვითხრა კაციტაძემ.

გიორგი ბიკაშვილი

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ამბები

ამერიკა

ტოკიოში საოცნებო შოუს მოანყობენ

სიდნეის ოლიმპიადის დაწყებამდე ორიოდ კვირა დარჩა. საავსტრალიოდ გამზადებულ სპორტსმენთა თუ გუნდთა წინასაოლიმპიადო მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. მათ შორისაა აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებიც.

მთავარი შოუმენი ვინს კარტერი

4 სექტემბერს ამერიკელებმა ნაყოფიერი მომზადების შემდეგ დატოვეს ჰავაის წარმტაცი კუნძული მაუი და იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაემგზავრნენ, სადაც ორ საჩვენებელ შეხვედრას გამართავენ იაპონიისა და ესპანეთის ნაკრებებთან. ცხადია, აქ ზედმეტია იმის თქმა, რომ შეერთებული შტატების რჩეულნი მთელი სერიოზულობით ეკიდებიან მომავალ შეხვედრებს.

ტოკიოში შვიდსაათიანი მომქანცველი ფრენის შემდეგ ჩასული ამერიკელები რამდენიმე საათის განმავლობაში ათვალიერებდნენ ამომავალი მზის ქვეყნის მთავარი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მაღაზია-გამოფენებიც მოინახულეს და პრესკონფერენციის დროც დადგა. პრესკონფერენციაზე „დრიმ თიმს“ მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი და სამთაგან ერთ-ერთიკაპიტანი ალონზო მურნინგი წარადგენდნენ. „ჩვენ შოუს დადგმას ვაპირებთ“ — თქვა მურნინგმა. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამ შოუს მთავარ წამყვანად ჭაბუკი სუპერვარსკვლავი ვინს კარტერი მოიაზრება, რომელმაც უკვე მოასწრო და თავისი გუნდის ორი შეხვედრა ლამაზი ჩატენვებით და სხვა ეფექტური ელემენტებით დახუნძლულ სანახაობად აქცია. ადგილობრივი ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რას ფიქრობდა იაპონია — ამერიკის მომავალ შეხვედრაზე, მურნინგმა პატივი სცა მასპინძელ ქვეყანას და იქ შეკრებილ ასზე მეტ ჟურნალისტს და იაპონელთა ნაკრებს კარგი გუნდი უწოდა, თუმც იქვე დასძინა, მიუხედავად ამისა, არა მგონია, მოგვიგოთ, რადგან ჩვენ გვყავს უძლიერესი გუნდი, რომელიც კი ოდესმე შეკრებილაო.

დიახ, მასპინძლები ალბათ დამარცხდებიან. მათ უკვე მოასწრეს და ესპანეთთან 43 ქულის სხვაობით — 55:98 წააგეს.

ესპანეთის ნაკრები რომ იაპონიაზე სერიოზული მეტოქეა, ამას ამერიკელთა თავკაცი რუდი ტომიანოვიჩიც აღიარებს: „მე ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლის მცირეოდენი გამოცდილება მაქვს. ძალიან ძლიერი გუნდია. მათ ჰყავთ ჩვენი სტილის მოთამაშეები, მებრძოლი და აგრესიული თამაშის მიმდევარნი“.

იაპონელებთან და ესპანელებთან შეხვედრების შემდეგ ამერიკელები ავსტრალიაში ჩავლენ და ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში, მელბურნში, მასპინძელთა ნაკრებთან საკონტროლო თუ საჩვენებელ შეხვედრას გამართავენ, რომელიც მათთვის ბოლო იქნება წინასაოლიმპიადო მოსამზადებელ ციკლში. ავსტრალიას რამდენიმე მოთამაშე ჰყავს რომელთაც ნბა-ში მიუღიათ გამოცდილება — 218-სანტიმეტრიანი ლუკ ლონგლი, რომელიც ოთხი წელი „ჩიკაგო ბულზის“ ძირითადი ცენტრი იყო და სამჯერ, 1996-98 წლებში, ნბა-ს ჩემპიონიც გახდა; ენდრიუ გეიზი, კრის ენსტი და სხვები. არაა გამორიცხული, ამერიკა და ავსტრალია ოლიმპიადაზეც შეხვდნენ ერთმანეთს. ასე რომ, ეს მატჩი ძალიან გამოადგება როგორც მასპინძელს, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონს.

ირაკლი ფირაქვილი

რუსეთი

ვინ არის რუსეთის ცენტრი?

რუსეთის ნაკრებმა საბერძნეთში დაასრულა სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ევროპული ეტაპი. რუსებმა ათენში მონაწილეობა მიიღეს „აკროპოლისის თასად“ წოდებულ საერთაშორისო ტურნირში და მეორე ადგილი დაიკავეს. ფინალში ისინი მასპინძელ საბერძნეთს შეხვდნენ და 65:69 დამარცხდნენ.

გუნდი სამშობლოში ორშაბათს დაბრუნდა. მწვრთნელებმა მოთამაშეები ოთხი დღით სახლებში გაუშვეს და ნოვგორსკის ბაზაზე პარასკევისთვის დაიბარეს. 11 სექტემბერს რუსეთის ნაკრები ავსტრალიაში გაემგზავრება.

„აკროპოლისის თასის“ დამთავრებისთანავე რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა სტანისლავ ერიომინმა დაასახელა საოლიმპიადო, 12-კაციანი შემადგენლობა. გუნდში ვერ მოხვდა ქვეყნის უხლიერესი ცენტრი, მადრიდის „რეალის“ მიხაილ მიხალოვი. იგი ერთხელაც არ გამოეხმაურა ერიომინის მოწვევას. გამოდის, რომ რუსეთი ოლიმპიადაზე ნომინალური ცენტრის გარეშე გაემგზავრება — პერმის „ურალ გრეიტის“ ალექსანდრ ბაშმინოვს კი შეუძლია ამ ადგილზე თამაში, მაგრამ ამპლუით თავდამსხმელია. სიდნეიში ვერ წავა სამქულიანების ოსტატი, ბოლო წლებში ნაკრების უცვლელი წევრი, უკანახაზელი იგორ კუდელინი — მისი აყვანისგან ერიომინმა თავი შეიკავა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ტრავმების გამო, ოლიმპიადაზე თამაში იუარა რუსეთის ნაკრების ძირითადმა გამთამაშებელმა, აწ უკვე სალონიკის „ირაკლისის“ წევრმა ვასილი კარასიოვმა. აქედან ერთი რამის დასკვნა შეიძლება: რუსეთის ნაკრებს კიდევ უფრო უმცირდება სიდნეიში წარმატების მიღწევის ისედაც მცირე შანსი.

იგორ კუდელინი სიდნეიში არ ითამაშებს

რუსეთის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია:

უკანა ხაზი: *სერგეი ბაზარევიჩი (პოოკ, საბერძნეთი), ევგენი პაშუტინი (მაკაბი, რაანანა, ისრაელი), სერგეი ჩიკალკინი (ურალ გრეიტი), ზაბარ პაშუტინი (ქარშიაქა, თურქეთი), ვალენტინ კუბრაკოვი (ლოკომოტივი, მინვოდი).*

ფორვარდები: *ნიკიტა მორგუნოვი (პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი, აშშ), ევგენი კისურინი (ვარეზე, იტალია), ანდრეი ფეტისოვი (სპარტაკი, სანკტ-პეტერბურგი), სერგეი პენოვი (ცსკა), ანდრეი კირილენკო (ცსკა), რუსლან ავლეევი (უნიკსი).*

ცენტრი: *ალექსანდრ ბაშმინოვი (ურალ გრეიტი).*

გიჟ მაქსს ქალი გაულანავს

„სიეტლ სუპერსონიქსის“ უკანახაზელ ვერონონ მაქსველს პოლიცია ეძებს. ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელს ქალის ცემა ედება ბრალად.

გუშინწინ ქალაქ შარლოტის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გამოცხადდა დალურჯებული და საშინლად დაკაწრული ქალბატონი, ვინმე ჰეიდი ჰეიდენი და განაცხადა, წუხელ ღამით, უფრო სწორად კი დღეს დილით, კალათბურთელმა ვერნონ მაქსველმა ჩემს სახლში სასტიკად მცემა, რამდენჯერმე ჩამარტყა მუშტი და ფეხი. პოლიციამ დაზარალებულს დახმარება შესთავაზა სამედიცინო მომსახურების სახით, მაგრამ 31 წლის ჰეიდენი მკურნალობაზე კატეგორიულ უარს ამბობს. თავად დანაშაულში ეჭვმიტანილ მაქსველთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. ეს უკანასკნელი სადღაც დაკარგულა და მისი გზაკვალს ჯერ ვერავინ მიაგნო.

34 წლის მაქსველს პირველად არ ექმნება პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან. „გიჟ მაქსად“ წოდებული ვერნონი მეტად მშფოთვარე ხასიათით გამოირჩევა, რაც მას კარგ სამსახურს როდი უწევს. 1998 წელს, როცა იგი „შარლოტ ჰორნეთსში“ თამაშობდა, ნარკოტიკების მიღებისთვის სამი თვე ციხეში იყურყუტა. 1995 წელს „ჰიუსტონში“ მოთამშე მაქსველი ლიგამ ათმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და ოცათასიანი ჯარიმით დასაჯა იმისთვის, რომ პორტლენდში გამართული ერთ-ერთი შეხვედრის დროს მოწინააღმდეგე გუნდის ქომაგს ტრიბუნაზე მიეჭრა და თავ-პირი დაუსისხლიანა.

ყურადღება!

2000 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან იხსნება კურსები რუსული ენის შესწავლისთვის.

სწავლება ითვალისწინებს რამდენიმე პროგრამას:

- დამწყებთათვის;
- დაჩქარებული სწავლებისთვის;
- მართლწერის დახვეწისა და სრულყოფისთვის;
- უცხოელთათვის, რომლებსაც სურთ რუსული ენის შესწავლა.

ცნობებისათვის, 1-დან 30 სექტემბრამდე, მიმართეთ მისამართზე: მ. კოსტავას ქ. 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI კორპუსი, VI სართული, რუსული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრა. ტ: 36-63-58

„ბრილიანტის ბურთის“ ტურნირი. ჰონკონგი. 2-6 სექტემბერი

ევროპამ ამერიკა წააქცია, ავსტრალიას კი დაეჩაგვრინა

4 სექტემბერი

A ჯგუფი

იუგოსლავია 94:89 კანადა

იუგოსლავია: ბოდიროგა (16), დანილოვიჩი (16), დრობნიაკი (3), ლუკოვსკი (2), ობრადოვიჩი (6), რებრაჩა (14), სტოიაკოვიჩი (19), ტომაშევიჩი (18)

კანადა: ბარეტი (17), დანიელსი, გუარასკი (16), ჰამილტონი (11), მაკკალოფი (4), მეგისი (5), მიკსი (10), ნეში (18), ნიუტონი (8), სვორდსი

იუგოსლავია	2	2	0	178:153	4
კანადა	2	1	1	175:167	3
ჩინეთი	2	0	2	137:170	2

B ჯგუფი

ავსტრალია 101:82 იტალია

ავსტრალია: ენსტი (4), ბრადტკე (8), გეიზი (33), გრეისი (8), ჰილი (14), ლონგლი (9), მაკკინონი (8), მაპერი, როჯერსი (14), სმიტი (11), ვლაპოვი (2)

იტალია: აბიო (18), ბაზილე (3), კამატა (2), დამიაო (10), დე პოლი, ფუჩა (15), გალანდა (8), ლი ვეკი (9), მენეგინი (7), მიანი (4), მაიერსი (6)

ავსტრალია	2	2	0	196:135	4
იტალია	2	1	1	159:162	3
ანგოლა	2	0	2	114:172	2

ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს ერთმანეთს დაუმარცხებელი გუნდები შეხვდნენ. გამარჯვებულები ფინალში თამაშის უფლებას მიიღებდნენ, რის გამოც ამ მატჩებმა დამატებითი ინტრიგა შეიძინა. თუმცა, შეგახსენებთ, რომ „ბრილიანტის ბურთის“ ტურნირის უმთავრესი მიზანი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადებაა.

იუგოსლავია ჰონკონგში 14 კალათბურთელითაა ჩასული. ნაკრების მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩს საოლიმპადო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. კანადასთან მატჩში იუგოსლავიამ ორი ცვლილება მოახდინა — ჩინეთთან ნათამაშევი უკანახაზელი ვლადო შჩეპანოვიჩი და ცენტრი დრაგან ტარლაჩი, შესაბამისად, კოლეგებით — იგორ რაკოჩევიჩით და ჟელკო რებრაჩათი შეცვალა. რებრაჩას, რომელიც გუნდის ლიდერია, მიკრო-ტრავმები აწუხებდა და ობრადოვიჩი აქამდე ძალიან არ ტვირთავდა. კანადასთან ჟელკომ 27 წუთი ითამაშა, ათიდან ხუთი ორქულიანი და ოთხიდან ოთხი საჯარიმო ჩააგდო, სამი მოხსნა და ერთი პასი გააკეთა, ოღონდ ხუთი პერსონალურით მოედანი ნაადრევად დატოვა. რაკოჩევიჩს კი თამაში ვერ ეღირსა, ისევე როგორც განაცხადში შეყვანილ მილან გუროვიჩს, ნიკოლა იესტრატიევიჩს და ნიკოლა ლონჩარს.

მატჩი დაძაბული გამოდგა და მისი პირველი ტაიმი 50:50 დასრულდა. კანადელები არ შეუშინდნენ მსოფლიოს ჩემპიონებს და არაფერი დაუთმეს. ბოლოსკენ იუგოსლავიელთა გამოცდილებამ იძალა, სხვა თუ არაფერი, კანადას არ ჰყავს დეიან ბოდიროგას, პრედრაგ დანილოვიჩის და პრედრაგ სტოიაკოვიჩის დარი ოსტატები.

ოლიმპიადის მასპინძელმა ავსტრალიამ კი პირწმინდად დაჩაგრა ევროპის ჩემპიონი იტალია. ევროპელებმა ვერაფერი მოუხერხეს ავსტრალიელთა ლიდერს, თავის დროზე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნათამაშევ ენდრიუ გეიზს. მან ცხრიდან ექვსი სამ ქულიანიდა ათიდან ცხრა საჯარიმო ჩააგდო. ოდნავ ჩრდილში იყო ავსტრალიელთა ცენტრი, ფინიქს სანზის“ ლუკ ლონგლი, რომელიც ცხრა ქულას და ორ მოხსნას დასჯერდა. მარცხის მიუხედავად, იტალიელთა მწვრთნელმა ბოგდან ტანიევიჩმა განაცხადა, რომ სწამს თავის გუნდის და ოლიმპიადისთვის მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ სასიდნეო, 12-კაციანი შემადგენლობა ტანიევიჩს არ დაუსახელებია და ამის გაკეთებას „ბრილიანის ბურთის“ ტურნირის მერე აპირებს.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან იუგოსლავია და ავსტრალია. კანადა და იტალია მესამე ადგილისთვის ითამაშებენ, ხოლო ჩინეთი და ანგოლა — მეხუთისთვის. ყველა მატჩი დღეს გაიმართება.

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-3 ტური
6 სექტემბერი

007	ჰამბურგი-ვერდერი	1,9	3,1	4,0
008	აინტრახტი-ჰანზა	1,7	3,1	4,7
009	დორტმუნდი-მიუნხენ 1860	1,7	3,1	4,7
010	ჰერტა-ბოხუმი	1,5	3,5	6,0
011	ბაიერნი-ვოლფსბურგი	1,25	5,0	9,0
012	ბაიერნი-ვოლფსბურგი 0:1	1,7	3,2	3,2

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-3 ტური
6 სექტემბერი

020	ფიურტი-ოსნაბრიუკი	1,55	3,4	5,6
021	კიკერსი-ალემანია	1,9	3,0	3,8
022	ვალდჰოფი-ნიურნბერგი	2,6	2,9	2,5

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-4 ტური
6 სექტემბერი

029	ქოვენთრი-ნიუკასლი	2,4	3,0	2,7
030	დერბი-მიდლსბრო	2,4	3,0	2,7
031	ლესტერი-იფსვიჩი	1,7	3,1	4,7
032	ჩარლტონი-საუთჰემპტონი	2,0	3,0	3,5
033	ჩელსი-არსენალი	2,3	2,9	3,0
034	ლივერპული-ასტონ ვილა	1,6	3,2	5,6

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-6 ტური
6 სექტემბერი

036	სედანი-რენი	1,9	2,9	4,0
037	ბასტია-ლილი	1,8	2,9	4,4
038	გენგამი-ტულუზი	2,0	2,9	3,6
039	ლანსი-ოსერი	1,65	3,0	5,6
040	მეცი-სტრასბური	1,7	3,1	4,7
041	ნანტი-ბორდო	1,9	3,0	3,8
042	სენტ ეტიენი-ლიონი	2,2	2,9	3,2
043	ტრუა-პსჟ	3,6	2,9	2,0

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-8 ტური
6 სექტემბერი

045	კრეტეი-ბოვუა	1,6	3,0	6,5
046	გენიონი-ლე მანი	2,0	2,7	4,0
047	ლავალი-ნიმი	1,6	3,0	6,5
048	ლე ავრი-შატორუ	1,5	3,4	6,5
049	ლორიანი-მარტიგი	1,65	2,9	6,0
050	მონპელიე-ანჟე	1,25	4,7	10,0
051	მონპელიე-ანჟე 0:1	1,7	3,2	3,2
052	ნიცა-აიაჩო	1,7	2,8	5,6
053	სოშო-კანი	1,55	3,2	6,5
054	ვასკეალი-კაენი	2,0	2,8	3,8

ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-3 ტური
6 სექტემბერი

057	გრონინგენი-გრააფსხაპი	2,0	3,1	3,4
058	ვიტესი-სპარტა	1,5	3,5	6,0
059	ტვენტე-ჰერენვენი	2,2	3,1	3,0
060	ვალვაიკი-ალკმაარი	2,4	3,1	2,6
061	ბრედა-როდა	2,5	3,0	2,5
062	აიაქსი-ნაიმეგენი	1,35	4,2	7,0
063	აიაქსი-ნაიმეგენი 0:1	1,9	3,2	2,6

ბელგია. I დივიზიონი. მე-4 ტური
6 სექტემბერი

066	სტანდარდი-ბრიუგე	2,5	3,0	2,5
067	ლუვიე-ბეერსხოტი	2,5	3,0	2,5
068	ანტვერპენი-ჰარელბეკე	2,0	3,1	3,4
069	ლიერსი-ბევერენი	1,35	4,0	7,5
070	ლიერსი-ბევერენი 0:1	1,9	3,3	2,5
071	გენკი-ვესტერლო	1,75	3,0	4,4
072	გენტი-სენტ ტრუიდენი	1,35	4,0	7,5
073	გენტი-სენტ ტრუიდენი 0:1	1,9	3,3	2,5
074	მუსკრონი-აალსტი	1,35	4,0	7,5
075	მუსკრონი-აალსტი 0:1	1,9	3,3	2,5
076	ლოკერენი-მეხელენი	1,7	3,3	4,2

თურქეთი. გადადებული მატჩი
6 სექტემბერი

077	ბურსა-გალათასარაი	7,0	3,8	1,4

ავსტრია. მე-10 ტური
6 სექტემბერი

079	ადმირა-გრაცერი	2,9	3,0	2,3
080	აუსტრია-ბრეგენცი	1,2	5,6	10,0
081	აუსტრია-ბრეგენცი 0:1	1,5	3,5	3,5
082	რიდი-ლინცერი	1,55	3,4	5,6

დანია. მე-7 ტური
6 სექტემბერი

095	ორჰუსი-ლიუნგბიუ	2,3	3,0	2,9
096	ბრიონდბიუ-ვიბორგი	1,75	3,2	4,0
097	ჰერფიოლგე-სილკებორგი	2,4	3,1	2,6
098	მიდტიულანდი-ჰადერსლევი	1,35	4,0	7,5
099	მიდტიულანდი-ჰადერსლ. 0:1	1,9	3,3	2,5

100	ოდენსე-ოლბორგი	2,5	3,0	2,5
101	კოპენჰაგენი-აკადემისკი	2,3	3,1	2,6
	რუსეთი. 24-ე ტური 6 სექტემბერი			
102	ჩერნომორეცი-ლოკომოტივი	3,0	2,9	2,3
103	სატურნი-კრილია	1,5	3,4	6,5
104	დინამო-სპარტაკი	3,8	3,0	1,8
105	ნ.ნოვგოროდი-ფაკელი	2,1	2,9	3,4
106	ანჟი-როტორი	1,35	4,0	7,5
107	ანჟი-როტორი 0:1	2,0	2,8	2,5
108	ზენიტი-ალანია	1,65	3,2	5,0
109	ტორპედო-ურალანი	1,15	6,0	12,0
110	ტორპედო-ურალანი 0:1	1,4	3,6	4,0
111	როსტსელმაში-ცსკა	2,6	2,8	2,6
	შვედეთი. მე-18 ტური 6 სექტემბერი			
116	ელფსბორგი-სუნდსვალი	1,6	3,4	5,0
117	ჰამარბი-იორებრო	2,1	3,1	3,2
118	ფრიოლუნდა-აიკ	4,4	3,4	1,65
	ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. II მატჩები 6 სექტემბერი			
148	ნოტინგემი-დარლინგტონი 2-2	1,35	4,0	7,5
149	სტოკი-იორკი 5-1	1,3	4,4	8,0
150	ვესტ ბრომვიჩი-სუონსი 0-0	1,5	3,6	5,6
151	ბლეკბერნი-როჩდეილი 1-1	1,2	5,6	10,0
152	ჰალიფაქსი-ტრანმერი 0-3	3,8	3,2	1,8
153	ქუინზ პარკი-კოლჩესტერი 1-0	1,35	4,0	7,5
	იტალია. თასის II ეტაპი. II მატჩები 6 სექტემბერი			
154	ბოლონია-ვენეცია I მატჩი: 2-2	1,5	3,4	6,5
155	ვერონა-პიაჩენცა 1-2	1,6	3,2	5,6
156	ლეჩე-კოზენცა 2-0	1,35	3,8	8,0
157	ბარი-ტორინო 1-2	1,6	3,1	6,0
158	რეჯინა-ატალანტა 0-2	1,9	2,9	4,0
159	პერუჯა-სალერნიტანა 0-1	1,6	3,1	6,0
160	ვიჩენცა-ბრეშა 1-2	1,9	2,9	4,0
	7 სექტემბერი			
161	ნაპოლი-სამპდორია (ნეიტრ.) 0-1	1,75	2,9	4,7
	ჩეხეთი. თასის III ეტაპი 6 სექტემბერი			
172	მოსტი (2)-სპარტა	10,0	5,6	1,1
173	ხომუტოვი (2)-პლზენი	2,8	2,9	2,3
174	პარდუბიცე (2)-ბოჰემიანსი	4,0	3,2	1,7
	პოლონეთი. ლიგის თასის 1/8 ფინალი. II მატჩები 6 სექტემბერი			
175	პოლონია-ვლუკნიაჟი (2) I მატჩი: 2-3	1,1	6,0	12,0
176	რუხი-ზაგლებე 2-4	1,9	3,0	3,8
177	ვისლა-გროცლინი 0-0	1,15	5,6	10,0
178	კატოვიცე-ლეგია 0-1	3,5	2,8	2,1
179	რადომსკო (2)-ოდრა 2-1	2,4	3,0	2,7
180	პოლკოვიცე (2)-გურნიკი 1-1	2,7	3,0	2,4
181	ამიცა-ვიძევი 2-2	1,7	3,0	4,4
182	ჰეტმანი (2)-პოგონი 0-5	4,0	3,2	1,7
	შოტლანდია. ლიგის თასის III ეტაპი 6 სექტემბერი			
187	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	4,4	3,4	1,6
188	დანფერმლაინი-მოზერუელი	2,0	3,2	3,3
189	ლივინგსტონი-ჰართსი	3,4	3,1	1,9
190	რეინჯერსი-აბერდინი	1,15	5,6	10,0
	ნორვეგია. თასის 1/4 ფინალი 6 სექტემბერი			
192	ოდ გრენლანდი-მოსი	1,7	3,4	4,0
193	სტარტი-მოლდე	3,6	3,3	1,8
194	ვიკინგი-ვოლერენგა	1,5	3,8	5,3

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

შევარდნაძემ სამარანჩთან საქმე ჩაანყო

მარკიზმა შევარდნაძისგან „ოქროს საწმისის“ ორდენი მიიღო, შევარდნაძემ კურტანიძისგან — კომპლიმენტი

ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტზე აქა-იქ ხმები გაისმის, ედუარდ შევარდნაძე რაღაც ძველებურად მხნედ ვეღარ არისო, მაგრამ მასთან ჩვენი ქვეყნის ოლიმპიელთა დელეგაციის მოღებაზე საპირისპიროში დავრწმუნდით. იგი ძველებურად მხნედ გამოიყურება, კვლავ უსათვალოდ კითხულობს და მისი მეხსიერების მეგაბაიტიც ბევრ კომპიუტერს შეშურდება. რა თქმა უნდა, დროდადრო მოსწრებული პასუხით, შენიშვნებითა თუ სხვა ოხუნჯობით დარბაზსაც ახარხარებს.

ცხადია, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას ყველა სიცილ-ხარხარისა და ოხუნჯობის ხასიათზე ვერ დგება. ამიტომ იყო, იმ დღეს, ოლიმპიელებთან შეხვედრისას ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ, სოხუმელმა ლტოლვილმა ედუარდ კურტანიძემ პრეზიდენტს რომ მიმართა, თქვენთან შეხვედრისას იმდენი ფსიქოლოგიური დატვირთვაა საჭირო, რამდენიც კაცს სამ-ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსასვლელად ეყოფოდა. რასაც თქვენ უძლებთ, რომ გეჭიდავათ, დიდი შანსი გექნებოდათ, ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყავითო.

პრეზიდენტისა და იმხელა აუდიტორიის წინაშე ედუარდ კურტანიძის ასეთი სითამამე თავად პრეზიდენტმა ახსნა, როცა ნახევრად ხუმრობით ნათქვამს ნახევრად ხუმრობითვე უპასუხა, ედუარდი უფრო ხშირადაა ტრიბუნაზე, ვიდრე მეო.

კურტანიძემ და სხვებმაც ასეთივე სითამამე სიდნეის სარბიელზეც რომ გამოავლინონ ოსტატობასთან ერთად, მათ საამისო სტიმული საკმაოდ აქვთ — გეხსომებათ თბილისის მერის ვანო ზოდელავას დაპირება, ყველა თბილისელი, ვინც სიდნეიში ოქროს მოიპოვებს, საჩუქრად ბინას მიიღებსო.

ამ შეხვედრამდე საქართველოს პრეზიდენტს ესეც გაახსენდა, თავად ქალაქის მერი კი უფრო შორს წავიდა და თქვა, ბინებს არათბილისელებსაც ვპირდებიო.

— ეს იმათაც ეხებათ, ვისაც ბინა უკვე აქვთ — დააზუსტა პრეზიდენტმა. ისიც დასძინა, ქალაქის მერის სიტყვა რკინის სიტყვააო. ეს კი თქვა, მაგრამ ვშიშობთ, ის ბინები გაუცემელი არ დარჩეს. არა, იმიტომ კი არა, რომ მერის რკინის სიტყვის გვეეჭვება. საჭოჭმანო ჩვენი სპორტსმენების ჩემპიონობაა. საპრიზო ადგილის მოპოვება ღმერთისა და იღბლის წყალობით კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩემპიონობა ჩვენნაირი მზადების პირობებში ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ ჩვენს ოლიმპიელთა შორის არავინაა მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი, ექს-ჩემპიონი კი ორად-ორი გვაყავს.

ჰოდა, ალბათ სჯობდა, თბილისის მერი ისევ თბილისელებთან შემოფარგლულიყო, ბინებს მეორე-მესამე პრიზიორებსაც დაპირებოდა და მისი გულუხვობის აღსრულებასაც მეტი შანსი ექნებოდა.

გულუხვობაზე გაგვახსენდა — საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიელებს შეახსენა, ჩემპიონები პრემიად 50-50, მეორე და მესამე ადგილოსნები შესაბამისად 30-30 და 20-20 ათას მიიღებენო. ოღონდ ეს თანხა მექანიკური შეცდომით ლარებში ახსენა, რამაც დარბაზი დაზაფრა და გააფთრა. როცა დაზუსტება სთხოვეს, ლარებში თუ დოლარებშიო, უნებლიე შეცდომა ჩვეული ხუმრობით გამოასწორა, როცა იკითხა, ასეთ წვრილმანებზე მედავებითო, ბოლოს კი სერიოზულად დასძინა, ესეც მეცოტავება, ოღონდ ეჭვი არ შეგეპაროთ ჩემს გულუხვობაშიო.

რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ეცოტავება და არც მისი გულუხვობა გვაეჭვებს, რადგან:

„ოლიმპიური თამაშები არ არის უბრალოდ სპორტული ასპარეზობა. ეს არის შეჯიბრება სახელმწიფოთა შორის.“ „დღეს სპორტი არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ყველა ქვეყნის ცხოვრებაში“ — ეს არის საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები, რომელიც მან ჩვენს ოლიმპიელებთან შეხვედრისას თქვა.

ისიც თქვა, საქართველოს გასაერთიანებლად ბრძოლა მიდის და თუ თქვენც ხელდამშვენებულნი ჩამოხვალთ სიდნეიდან, ამ საქმეში დიდი დახმარება იქნებაო.

თუმცა, ამაზე და სხვა მრავალზეც მიღების მეორე დღესვე ვიუწყებოდით. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ერთს კი მაინც ვიტყვით, სპორტის მესვეურნი წუხან, რომ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო ერთადერთი მსაჯით (ტანვარჯიშში) ომარ ღონღაძით იქნება წარმოდგენილი, რის გამოც წამყვან სახეობებში დაჩაგვრისა გვეშინიაო. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, ხუმრობით, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან, ხუან ანტონიო სამარანჩთან საქმე ჩაგიწყეთ და სიდნეიში ისე გიშვებთო.

შევარდნაძე გულისხმობდა სამარანჩის „ოქროს საწმისის“ ორდენით დაჯილდოებას, რისი გადწყვეტილება მას მიუღია.

გვიშველის თუ არა ამგვარი საქმის ჩაწყობა, ეს მალე გამოჩნდება სიდნეიში, სადაც საქართველოს 36- კაციანი „დესანტი“ დღეს უთენია გაუდგა გზას (საჰაეროს). მის შემადგენლობაში არიან: ძიუდოისტები, მშვილდოსნები, მოკრივეები, საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლები, სპორტულად ტანმოვარჯიშე, მათი მწვრთნელები, სამედიცინო ჯგუფის წარმომადგენლები, პრესატაშე, სპორტის მესვეურნი.

სამი დღით ადრე სიდნეისკენ გზას გაუდგა „მზვერავთა“ ოთხკაციანი ჯგუფი, რომელშიც არიან ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელები.

საქართველოს ოლიმპიელთა ნაწილი სიდნეისკენ 13 და 19 სექტემბერს გაფრინდება.

ავთანდილ ბუკიშელი
ავტორის ფოტო

ხუან ანტონიო სამარანჩმა სიდნეის აეროპორტში ოთხ კითხვაზე უპასუხა და დასაძინებლად წავიდა

სამარანჩს ეძინება

მართლაც დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია სიდნეის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე სამხრეთ და ჩრდილოკორეელთა ერთიანი გუნდით შესაძლო გამოსვლამ. ამის თაობაზე არაერთხელ ვიუწყებოდით, მაგრამ მტრადგადაკიდებული ძმების თემა კვლავაც აქტუალური რჩება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს სიდნეის აეროპორტში ჩაფრენისთანავე რაც კითხეს, სწორედ ჩრდილო და სამხრეთკორეელთა ერთი დროშით შესაძლო გამოსვლას შეეხებოდა. აღმოჩნდა, რომ სამარანჩი ბოლომდე დარწმუნებული არაა, რომ კორეელები ასეთ ნაბიჯს გადადგამენ.

— ჩვენ კვლავაც ველით მათგან პასუხს — თქვა სამარანჩმა.

სამარანჩი, როგორც გამოცდილი დიპლომატი, ალბათ თავს იზღვევს კორეელთა შემდგომი ნაბიჯებისგან, რადგან იცის, რომ ისინი 50-იანი წლებიდან მოყოლებული ერთმანეთთან უბრად, უფრო სწორად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი, ამ საქმეში კი საბჭოთა კავშირის ხელი ერია, რამაც ძმები ერთმანეთს დააშორა. თუმცა, სამარანჩმა ისიც იცის, რომ ორივე ქვეყანას შორის ამ ბოლო დროს გარკვეული დათბობის პროცესი მიმდინარეობს. ამასთან, ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე ხელიხელ ჩაკიდებულად გამოსვლაზე გადაწყვეტით უარს არც ერთი მხარე არ აცხადებს.

ასეა თუ ისე, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და დაველოდოთ 15 სექტემბერს, როდესაც ოლიმპიური სტადიონი „ავსტრალია“ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალს უმასპინძლებს.

სოკ-ის პრეზიდენტი, რომელიც 30-საათიანი მგზავრობის შემდეგ საკმაოდ გადაღლილიყო, ხანმოკლე პრეს-კონფერენციაზე მაინც გამოვიდა. სასტუმროში დაბინავებამდე ოთხ შეკითხვას უპასუხა. აღნიშნა, რომ მოხარულია იმ ქალაქში ჩასვლით, რომელიც ათასწლეულის პირველ ოლიმპიადას მასპინძლობს. იმედიც გამოთქვა, რომ ყველაფერი კარგად წარიმართებაო.

— მშვენივრად ვიცით, რომ ჩვენმა ავსტრალიელმა მეგობრებმა ამ შვიდი წლის განმავლობაში კარგად იმუშავეს. ვიმედოვნებ, რომ ისინი მიიღებენ იმ საზღაურს, რომელიც მათ დაიმსახურეს — თქვა სამარანჩმა და იქვე ამინდზეც ჩამოაგდო სიტყვა — როგორც იცით, ოლიმპიადისას შეიძლება წვიმდეს, იქნებ ციოდეს კიდეც, მაგრამ ოლიმპიადის მინისტრი ბატონი ნაითი გვაიმედებს, რომ წინასწარი პროგნოზით დარი იქნება.

ბოლო შეკითხვაზე, სიდნეიში რისი გაკეთება სურდა პირველ რიგში, სამარანჩმა უპასუხა: ძილი ყველაფერს მირჩევნიაო.

გიგა გურასაშვილი

გაიმარჯვა კაცურმა სიტყვამ

პოლ ტრეისი: კანადელმა კანადაში პირველად მოიგო

კანადელი პოლ ტრეისის ტრიუმფით დასრულდა ამერიკული ფორმულის — „კარტის“ მორიგი, მე-15 ეტაპი. „რეინარდ-ჰონდას“ პილოტის სამშობლოში, ვანკუვერის ქუჩებში მოწყობილი ტრასა მრბოლებს 90-ჯერ უნდა შემოევლოთ. 25-მანქანიან ქარავანს თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ტრეისის თანაგუნდელი დარიო ფრანკიტი. ნახევარ დისტანციაზე მეტი — 52 წრე შოტლანდიელი ლიდერობას ინარჩუნებდა. მერე კი...

ფიცხ კოლეგებს ორჯერ, 1998 და 99 წლებში რბოლისას შეხლა-შემოხლა, ანუ საკმაოდ სერიოზული ავარია მოსვლიათ. მსგავსი ფათერაკის თავიდან ასაცილებლად ამჯერად წინასწარ მოილაპარაკეს, რომ ბოლო პიტსტოპის შემდეგ დაწინაურებულისთვის მეორეს ხელი აღარ შეეშალა. 53-ე წრეზე სწორედ ბოქსებში ჩაუქრა ფრანკიტის ბოლიდს ძრავა და მოულოდნელად ლიდერობა ტრეისის ჩაუვარდა ხელში.

რაკი ჯენტლმენურ შეთანხმებას წყალი არ გაუვა, შოტლანდიელიც წაგებას შეეგუა, თუმცა ისე ახლოს მიახტა კუდში, რომ თანაგუნდელს მის გულწრფელობაში ეჭვიც კი შეეპარა. მაგრამ ფრანკიტის გასწრება არც უფიქრია, მით უფრო, რომ ზედიზედ მეორე დიდი პრიზის (კარიერაში მე-18) მოგებით ტრეისი სატურნირო ცხრილში მეექვსედან ერთბაშად მეორე ადგილზე აღმოჩნდა რეალური საჩემპიონო შანსით. ამერიკელი მაიკლ ანდრეტი 126 ქულით ჯერ კიდევ რჩება ლიდერად, მაგრამ კანადელთან სადღეისოდ 6 ქულაღა აშორებს. მათ შემდეგ მჭიდრო ჯგუფად მოდიან ადრიან ფერნანდესი — 117, ჟილ დე ფერანი — 116, რობერტო მორენო — 115 და დებიუტანტი კენი ბრაკი — 106.

შარშანდელი ჩემპიონი, კოლუმბიელი ხუან მონტოია ვადამდე ზედიზედ მესამედ გამოეთიშა რბოლას (ამჯერად 67-ე წრეზე უმტყუნა „ტოიოტას“ ძრავიანმა „ლოლამ“) და 77 ქულით მხოლოდ მე-11 ადგილზეა. ფრანკიტი მას ქულით ჩამორჩება.

ჩემპიონატის ფინიშამდე ხუთი ეტაპია დარჩენილი.

გია ახალაძე

სანტოს გონსალესი და რაფაელ კარდენასი

შემთხვევით და დამთხვევით

კელმე უტევს და იგებს

ორშაბათს „ვუელტას“ პირველი ნამდვილი მთიანი ეტაპი გაიმართა საბადელიდან ლა მოლინამდე და ბევრი საინტერესო ამბავიც მოხდა. კოლუმბიელი რაფაელ კარდენასის მიერ მოგებულმა მე-10 ეტაპმა აბრაამ ოლანოს შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. ბასკმა საერთო ჩათვლაში ლიდერობა დაკარგა და ოქროსფერი მაისურა თანაგუნდელ სანტოს გონსალესს გადაულოცა. შვეიცარიელმა ალექს ცულემ კი ექვს წუთზე მეტი წააგო და, ფაქტობრივად, ამოიშალა „ვუელტას“ სავარაუდო გამარჯვებულთა სიიდან. თავის მხრივ, გერმანელმა იან ულრიხმა ეტაპი შედარებით მშვიდად განვლო და მომდევნო დღეებში შეიძლება შეუტიოს კიდეც, როგორც ესპანური გაზეთები წერენ.

კვირის ინდივიდუალური რბოლის შემდეგ პირველი აღმართში დანიშნული ფინიში უკვე საკმარისი გამოდგა, რათა საერთო ჩათვლაში ბევრი რამ შეცვლილიყო. როცა პელოტონი პირენეის მთების კურორტ ლა მოლინაში მივიდა, უკვე ბევრი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა „ვუელტა 2000“-ის მომავალზე.

ჯერ ოლანოზე ვთქვათ. კვირას მან დაამტკიცა, რომ უდავოდ კარგ ფორმაშია და მაშინ ოქროსფერი მაისურაც დაისაკუთრა, თუმცა 1998 წელს „ვუელტას“ მომგებ ბასკს მთიელობამდე მაინც ძალიან ბევრი უკლია. იმის გათვალისწინებით, რომ კიდევ საკმაოდ რთული მთებია დასაძლევი, ინდივიდუალური რბოლა კი მხოლოდ ერთიღაა დარჩენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოლანო საბოლოო გამარჯვებას ვერ მოიპოვებს, თუ რა თქმა უნდა, რაიმე სასწაული არ მოხდა. ოქროსფერი მაისურა კი მაინც „ონსეში“ დარჩა. სანტოს გონსალესი ორშაბათის ეტაპამდე მეხუთე ადგილზე იყო და საერთო ჩათვლის ლიდერი თავისდაუნებურად, შემთხვევით გახდა.

„ჩემი ლიდერობა გარემოებათა დამთხვევის შედეგია. როდემდე მინდა ოქროსფერი მაისურის შენარჩუნება? არ ვიცი. მისი ტარება ნებისმიერი მრბოლის ოცნებაა, მაგრამ გუნდის ლიდერი ოლანოა. იგი საკმაოდ კარგ ფორმაშია და ეს დღესაც დაამტკიცა. ვნახოთ, ხვალ რა მოხდება“ — განაცხადა სანტოს გონსალესმა.

„გარემოებათა დამთხვევა“ კი ისაა, რომ გონსალესი 37-ე კილომეტრზე სწორედ იმ შეტევის მონაწილე გახდა, რომელიც წარმატებით დასრულდა. დაახლოებით 20 მრბოლი პელოტონს პირველივე მთაზე დაშორდა. ჩამორჩენილებიდან არც ერთ გუნდს არ მოსვლია აზრად გამოდევნება, რადგან თითქმის ყველას ჰყავდა გაქცეულებში წარმომადგენელი. მალე ამ ორ ჯგუფს შორის სხვაობამ 10 წუთს მიაღწია, მოიერიშეების მაქსიმალური უპირატესობა კი 13 წუთი და 24 წამი იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოწინააღებს შორის შამა კატამ გაირბინა, მათ თანამშრომლობა აღარ ისურვეს, რამდენიმე ნაწილად დაიყვნენ და მათმა უპირატესობამაც დნობა იწყო. ლა მოლინას მისადგომებთან ლტოლვილების პირველი ნაწილი პელოტონს 3 წუთსა და 15 წამსღა უგებდა. თუმცა სხვაობის შემცირების მიზეზი მხოლოდ გაქცეულთა შეუთანხმებლობა არ იყო, პელოტონმაც გამოიღო ხელი. უფრო სწორად, „კელმემ“ იაქტიურა ძალიან. ამ გუნდს წინ ორი კაცი ჰყავდა. რაფაელ კარდენასმა შეტევა პირველი კატეგორიის სიძნელის მთა კრეუედაზე წამოიწყო, მისი თანაგუნდელი და თანამემამულე სანტიაგო ბოტერო კი საკუთარი ნებით ჩამორჩა და პელოტონს დაელოდა, რათა თავისიანებს მიხმარებოდა და ცულე ბრძოლიდან გამოეთიშა. „კელმემ“ ეს მშვენივრად მოახერხა და ოლანოსაც იგივეს უპირებდნენ, მაგრამ ბასკს შვეიცარიელზე მეტი ძალა აღმოაჩნდა. მან საერთო ჩათვლაში საუკეთესო კელმელ რობერტო ერასთან მხოლოდ 12 წამი წააგო და მას 2 წუთსა და 27 წამს უგებს.

ფინიშზე კი კარდენასმა ხონ ოდრიოსალას და ვიქტორ ჰიუგო პენიას აჯობა, მანამდე კი ამ სამეულმა დანარჩენი კომპანიონები საკმაოდ ჩამოიტოვა. ისევე, როგორც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“, „კელმეს“ სპორტულმა დირექტორმა ვისენტე ბელდამ „ვუელტაზეც“ პირველივე მთიან ეტაპზე გადაწყვიტა შეტევის განხორციელება — სტრატეგია, რომელიც ამართლებს. „ჩვენ მოვიგეთ ეტაპი, ბრძოლიდან გამოვთიშეთ ცულე და ვნახეთ, რომ ოლანო არცთუ ისე ძლიერია“ — თქვა ბელდამ, რომელიც მე-10 ეტაპის შედეგებით სავსებით კმაყოფილი ჩანდა.

ალექს ცულე წინა დღეს კი ამტკიცებდა, ძალები თითქმის აღარ მაქვსო, მაგრამ ასე თუ ჩამორჩებოდა, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო. იგი პელოტონის უკან კრეუედას დასაწყისშივე აღმოჩნდა და მერე ვერაფრით მოახერხა წამოწევა.

ასეა თუ ისე, ორშაბათის ეტაპმა ბევრი რამ შეცვალა საერთო ჩათვლაში.

გაიოზ თალაძგაძე

მეათე ეტაპი

საბადელი — ლა მოლინა, 165,8 კმ

1. **რაფაელ კარდენასი (კოლუმბია, კელმა) — 4სთ 34წთ 10წმ**
2. **ხონ ოდრიოსოლა (ესპანეთი, ბანესტო) — იგივე დრო**
3. **ვიქტორ ჰიუგო პენია (კოლუმბია, ვიტალიციო) — +2წმ**
4. **ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე) — +15**
5. **სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +15**

საერთო ჩათვლა

1. **სანტოს გონსალესი — 33სთ 45წთ 30წმ**
2. **აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +52**
3. **ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — +59**
4. **იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +2წთ 00**
5. **იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +2წთ 41**

მედალი ნონას ელის, ნონა — სპონსორს

მკლავჭიდელი ქალი — ამ სიტყვებისთვის ჯერ თვალი და ყური კარგად არ შეგვიჩვევია და, თქვენ წარმოიდგინეთ, სუსტი სქესის წარმომადგენლებს შორის უკვე გვყავს ლიდერი, საერთაშორისო დონის სპორტსმენი, ნონა გოლუბიანი.

...მკლავჭიდელი ვაჟებივით კუნთებდაბერილი არ გეგონოთ, პირიქით, გარეგნობით სულაც არ წააგავს ძალისმიერი სახეობის წარმომადგენელს, მაგრამ ნეტა განახათ, ეს ნაზი გოგონა როგორი გააფრთებით იბრძვის ბარიერთან. შარშან ვლადიკავკაზში გამართულ მკლავჭიდელთა მსოფლიოს 21-ე პირად-გუნდურ პირველობაზე ოქროს მედლამდე ცოტაღა დააკლდა. თუმცა, ახალბედა, სრულიად უცნობი სპორტსმენისთვის მემარჯვენეებში მეორე და ცაციებში მესამე ადგილებიც სერიოზულ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

— ნონა, მას შემდეგ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობა აღარ მიგიღიათ?

— როგორ არა, სტამბოლში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გამოვედი. სასურველ ფორმაში არ ვიყავი, თუმცა მთლად ხელმოცარული არ დავრჩენილვარ, მარჯვენა ხელით ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, ცაციათი — მეოთხე ადგილი.

— სტამბოლი მაინცდამაინც შორს არ არის, მაგრამ ფული ამისთვისაც საჭიროა, არადა, მახსოვს, ვლადიკავკაზში როგორი წვალებით მოახერხეთ ჩასვლა. იგივე ხომ არ განმეორდა?

— უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა. სულ ოთხასი დოლარი მჭირდებოდა გასამგზავრებლად, ვის არ მივმართეთ დასახმარებლად და ყველამ უარი გვითხრა. დიდი ნერვიულობა გადამხდა. შეჯიბრების დაწყებამდე ორი დღეღა რჩებოდა, მშველელი არ ჩანდა, ბოლოს, როგორც იქნა, ბედმა გამიღიმა, კომპანია „ჯეოსელმა“ ორასი დოლარით გამიმართა ხელი, ორასიც ნათესავებში ვიშოვე და ძლივს ჩავუსწარი, კინაღამ დამაგვიანდა აწონვაზე.

— ფორმაში არ ვიყავიო, წელან თქვით, ვერ მოასწარით მომზადება?

— წმინდა სპორტულ ფორმას როდი ვგულისხმობ... შეკრებაზე კარგად ვგრძნობდი თავს, მაგრამ უფულობამ ისე დამაწყვიტა ნერვები, ისე იმოქმედა ჩემზე, რომ შეჯიბრებაზე მობილიზება ვეღარ შევძელი. მკლავჭიდი იოლი სახეობა არ გეგონოთ, მაგიდასთან სრულიად დამშვიდებული, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული უნდა მიხვიდე, მე კი გონებიდან ვერ ამოვიგდე თბილისში გადატანილი ნერვიულობა, სათანადოდ ვერ განვეწყვე, სრულად ვერ მოვახერხე ძალების მოკრება და ბოლო მომენტში წავიფორხილე, თორემ, დარწმუნებული ვარ, ბრინჯაოს ნაცვლად ოქროს ან ვერცხლს ჩამოვიტანდი.

— ახლა სად გაქვთ დაგეგმილი გამოსვლა, როგორ ემზადებით?

— ოცდახუთ სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიოს 22-ე პირად-გუნდური ჩემპიონატი იწყება. თუ ვაუებთან ერთად ერთი ქალიც არ გავიყვანეთ, გუნდურ ჩათვლაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ. სამწუხაროდ, ჩემი გამოსვლა საეჭვოა, სპონსორი ჯერჯერობით არ ჩანს და, ბუნებრივია, ვღელავ, ვერა და ვერ შევძელი ერთხელ მაინც მშვიდად გავსულიყავი ასპარეზობაზე. ისე, მართალა კარგად ვარ მომზადებული და როგორც ჩემი მწვრთნელი, ბატონი ვახტანგ მუსელიანი მაიმედებს, თვის ბოლოს, შეჯიბრებისთვის, საუკეთესო ფორმაში ვიქნები.

— მაშინ ოთხასი დოლარის შოვნა გაგიჭირდათ, ახლა კი ბევრად მეტი ფულია საჭირო...

— რა თქმა უნდა, ოკეანის გაღმა გამგზავრებას საკმაო თანხა სჭირდება და ვშიშობ, ათას ერთი ღამის ზღაპრის გმირს არ დავემსგავსო.

— ნონა, სწავლის საქმე როგორ მიდის, ბავშვები წამოიზარდნენ?

— დავამთავრე ფასიან უნივერსიტეტ „იბერიის“ ეკონომიკის ფაკულტეტი. დღედღეზე დიპლომსაც ავიღებ, ნეტა ასე გულდინჯად და უშფოთველად ამერიკაში შევძლებდე ჩასვლას.

ჩემს ქალიშვილებს კი არა უშავთ, ჯერჯერობით მე და ჩემი მეუღლე, მამამილის ხელშეწყობით, რომ იტყვიან, არც მეტს, არც ნაკლებს, პურის ფულს ვშოულობთ.

გამომშვიდობებისას ნონას წარმატებები ვუსურვე, დავაიმედე, ოცდახუთ სექტემბრამდე ჯერ კიდევ დროა, დამხმარე გამოჩნდება, იმედს ნუ გადაიწურავთ-მეთქი.

მგონი, ცოტათი მაინც გამოვუკეთე ხასიათი, სამაგიეროდ, მე წამოვედი უხასიათოდ... სპორტსმენი ოქროს მედლის ჩამოტანას ეშურებოდეს და გასამგზავრებელი ფული არ ჰქონდეს?

კაცი სხვა არის, მიდგებ-მოდგება, რაღაცას გაახერხებს, რა ქნას ორი შვილის დედამ, ოჯახზე იზრუნოს, ვარჯიშს დაუდოს გული თუ სპონსორი ეძებოს. ოქროსა და ვერცხლის მედლები კი, რომელთა მოპოვება ასე ეიმედებათ ნონას და მის დამრიგებელს, უკვე ჩამოსხმულია და პატრონს ელის.

მირიან ჟიჟინაძე



ფოტო ფელიქსისგან

ამ ფოტოს ამბავი: რედაქციაში ნონას ვეხუმრეთ, ვინმე ხომ არ შეგაჯიბროთო და, კი ბატონო, გინდა კაცი, გინდა ქალიო. ქალებმა, რა თქმა უნდა, იუარეს, ერთი ყმაწვილკაცი თანამშრომელი კი თამამად მიუჯდა მაგიდას და... შედეგი ფოტოზეა და იმის სახეზეც იყო, რომლის ჩვენებასაც, ხალხნი ვართ, მოვერიდეთ

ერეკლეს ბიბლიოთეკა

ბილის უქმე

ორიოდ თვეც და ბილ კლინტონი პრეზიდენტი აღარ იქნება. მაშინ, ალბათ, უფრო მეტ დროს დაუთმობს თავის საყვარელ თამაშს — გოლფს, თუმცა, პენსიამოახლოებული პრეზიდენტი არც ახლა იჩაგრავს თავს და ხალისით ქოქავს საგოლფე მობილს,რათა მინდვრის იმ ნაწილისკენ წავიდეს, სადაც მეათე ორმო ელის. ეს ყველაფერი კი ხდება ამერიკელთათვის უქმე „შრომის დღეს". ბილი კი ხუმრობს: ბოლო 26 წლის მანძილზე ეს პირველი უქმეა, როცა რასაც მინდა, იმას ვაკეთებო.



ავი ავი ავდარია

რა არის ჩოგბურთის მტერი და წვიმა. ნახეთ, როგორ ამშრალებენ ნიუ იორკის ცენტრალურ კორტს! კიდევ კარგი, რომ აქაც უიმბლდონივით ბალახეული არ არის, თორემ ბრეზენტის და მისთანების არევა მერე გენახათ.



ქსოვაც სპორტია

კუალა-ლუმპურიდან ბარე ექვსას კილომეტრზე, მალაიზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქ კოტა ბარუში, საუკეთესო სანახაობა მქსოველთა შეჯიბრია. ქსოვა ისეთი საინტერესო საქმერი ყოფილა, რომ ამ ქალაქს ტურისტები გუნდ-გუნდად აწყდებიან, ეს ძიაკაცი კი ქსოვის ჩემპიონი ყოფილა. სამწუხაროდ, მისი ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

აი, ის მოსახვევი, კონი

შაბათია, ვანკუვერის გზაზე კარტის საკვალიფიკაციო რბოლებია გახურებული. ამ მანქანობის კოლუმბიელი ვარსკვლავი კარლოს მონტოია თავის საცოლეს კონი ფრეიდელს რბოლათა რაობას თუ უხსნის. ისე, კონის საქმრო კვალიფიკაციაში მეხუთე ადგილზე გასულა.

სიდნეიში და სიდნეისკენ

დღეს ქალის გავაზე მოღაღანე სვირინგით ბევრს ვერავის გააკვირვებ, თუნდაც ეს ბრიტანეთის ოლიმპიური იმედის, მოცურავე ჯეიმი კინგის გავა იყოს. საინტერესო არის, რომ სვირინგის თემა ოლიმპიურია.

სოფიაში კი მორიგი ბულგარელი ოლიმპიელი ეთხოვება ოჯახს. ტანიო კირიაკოვი ქალიშვილ ტანიას დიდი თოჯინის ჩამოტანას თუ პბირდება. მედლები კი კირიაკოვს ბლომად აქვს, პა თუ ოქროსი, პა თუ ბრინჯაოსი.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მოადგილე რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის **რედაქტორი** ზურაბ მეკველია
ინფორმაციის **რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის **რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის **რედაქცია.** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის **რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208 **ტელეფონი:** 39 48 29 **ელექტრონული ფოსტა** sarbieli@iberiapac.ge **ელექტრონული ვერსია** http://www.sarbieli.com.ge